



„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI)  
ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ  
2013 წლის პირველი ნახევარი

სარჩევი

შესავალი

1. კანონის უზენაესობის პრინციპი და პოლიტიკური ნიშნით მსჯავრდებულ პირთა მიმართ განხორციელებული ამნისტია
2. სახელმწიფოს რეაგირება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე
3. თავისუფლებისა და ხელშეუვალობის უფლება
4. სამართალდამცავი ორგანოების ქმედებათა კანონიერება
5. უდანაშაულობის პრეზუმფცია
6. პირადი ცხოვრების შემცველი მასალის გავრცელება
7. შეკრება-მანიფესტაციის უფლება
8. რელიგიური შეუწყნარებლობა
9. ზეწოლა ადგილობრივ თვითმმართველობებზე
10. საჯარო სამსახურიდან პირთა გათავისუფლება
11. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება
12. 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნები
13. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები
14. სასამართლო პროცესების ფოტოვიდეოგადაღება
15. "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე
16. საკუთრების უფლება
17. განათლების უფლება და აგრარული უნივერსიტეტი

## შესავალი

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ წარმოგიდგენთ 2013 წლის პირველი ნახევრის ანგარიშს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობასთან დაკავშირებით. წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2013 წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა თემატიკას და კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვის საკითხებს. იმავდროულად ანგარიშში ასახულია რამდენიმე ისეთი შემთხვევა, რომელიც, მართალია, საანგარიშო პერიოდს სცდება, მაგრამ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ ამ თემების განხილვა მოცემული ანგარიშის ფორმატში.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ მიესალმება სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა სფეროში რიგი მიმართულებებით გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს. იმავდროულად ანგარიშში ყურადღებას ვამახვილებთ ამ სფეროში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებზე, რომელთა გამოსწორება და პრევენცია მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

### **1. კანონის უზენაესობის პრინციპი და პოლიტიკური ნიშნით მსჯავრდებულ პირთა მიმართ განხორციელებული ამნისტია**

საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „ამნისტიის შესახებ“. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ მიესალმება საქართველოს სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნებისმიერ ჰუმანურ ნაბიჯს. თუმცა, იმავდროულად აუცილებლად მივიჩნივთ ყურადღების გამახვილებას აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემურ საკითხზე. .

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით განხორციელდა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ ან პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილად მიჩნეულ პირთა ამნისტია (ხსენებულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება). აღნიშნული პროცესი წარიმართა კანონმდებლობის მოთხოვნების უგულვებელყოფით, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყანაში კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვას. კერძოდ, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას წინ უძღვოდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილების მიღება, რომლითაც მოხდა გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ ან პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილ პირებად (შემდგომში ასევე „პოლიტიკურ პატიმრებად“) აღიარება. აღნიშნული დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა განსაზღვრა, თუ ვინ იყვნენ პოლიტიკური ნიშნით მსჯავრდებული კონკრეტული პირები, ხოლო მოგვიანებით მიღებული კანონით მოახდინა მათი ამნისტირება.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით (რომელიც კანონის ძალის მქონე აქტია) დეტალურად არის განსაზღვრული ის შემთხვევები და პროცედურები, როდესაც შესაძლებელია

პარლამენტის მიერ დადგენილების მიღება. რეგლამენტის შესაბამისად მსგავს საკითხზე პარლამენტის მიერ დადგენილების მიღება განსაზღვრული არ არის. შესაბამისად დადგენილების მიღებით პარლამენტმა გადაამეტა რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ კომპეტენციას.

გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის მიერ “პოლიტიკური პატიმრების” მიმართ განხორციელებული ამნისტია წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციურ სამართლებრივ წესრიგსა და საქართველოს კანონმდებლობასთან შემდეგი გარემოებების გამო: საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი არის უფლებამოსილი განხორციელოს შეწყალება. ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და წესი საქართველოს კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული, თუმცა ამნისტიისა და შეწყალების განხორციელების საკითხებს ასევე შეეხება საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსი“. სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად, ამნისტია ხორციელდება ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ, ხოლო 78-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალურად განსაზღვრულ პირთა მიმართ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხორციელდება შეწყალება.

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილება, რომლითაც მოხდა პირთა პოლიტიკურ პატიმრებად მიჩნევა, როგორც აქტშივეა ასახული, საქმეთა შეფასებისას ეყრდნობოდა ევროსაბჭოს 2012 წლის N1900 რეზოლუციას, რომელიც ადგენს კრიტერიუმებს პოლიტპატიმრის დეფინიციის განსაზღვრის მიზნით. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა შექმნა სპეციალური ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც უნდა შეესწავლა შესაბამისი სისხლის სამართლის საქმეები და გადაეწყვიტა პირთა პოლიტიკურ პატიმრებად მიჩნევის საკითხი, სწორედ ხსენებული რეზოლუციით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხსენებული ჯგუფის მიერ დაახლოებით 2 კვირაში მოხდა ორასამდე საქმის შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რამაც არაერთი კითხვა გააჩინა პროცესის სრულფასოვნებისა თუ გამჭვირვალობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯგუფი საქმეთა დაჩქარებული და არასრულყოფილად შესწავლის მოტივით დატოვა ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და ორგანიზაციამ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“.

ევროპულმა კომისიამ დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (შემდგომში - ვენეციის კომისია) 2013 წლის 11 მარტს გამოაქვეყნა თავისი მოსაზრებები საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებულ პოლიტიკური პატიმრების ამნისტიასთან დაკავშირებით.<sup>1</sup> კომისიამ გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც, მათი აზრით, მოდიოდა წინააღმდეგობაში სამართლის უზენაესობასთან და ადამიანის უფლებებთან. კომისიამ აღნიშნა, რომ პოლიტიკური პატიმრების ამნისტიის კანონის მიღების პროცესი იყო გაუმჭვირვალე, რადგან საქმეების შერჩევა და მათი შესწავლის კრიტერიუმები არ იყო საჯარო.<sup>2</sup> ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების პროცესში პარლამენტის

<sup>1</sup> მოსაზრება #710/2012, CDL-AD(2013)009;

<sup>2</sup> იქვე. პარ 38-39.

მონაწილეობა წინააღმდეგობაში მოდიოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, რადგან ამ დროს პარლამენტი გასცდა სამართალშემოქმედის როლს და სასამართლოს სამართალშეფარდების ფუნქცია შეითავსა.<sup>3</sup> კომისიამ განაცხადა, რომ კონკრეტული საქმეების შერჩევის პროცესი იყო თვითნებური და დისკრიმინაციული, რადგან კონკრეტულ პირებს არ შეეძლოთ მათი საქმის შესწავლის მოთხოვნით მიემართათ პარლამენტისათვის.<sup>4</sup>

ვენეციის კომისიის აღნიშნული მოსაზრება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური პატიმრების მიმართ განხორციელებული ამნისტია არ შეესაბამებოდა სამართლის უზენაესობის მოთხოვნებს.

## **2. სახელმწიფოს რეაგირება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე**

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. აღნიშნული უფლება თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ ხსენებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში განხორციელდეს ყოველმხრივი და ეფექტიანი გამოძიება დარღვევის ფაქტების დადგენისა და სათანადო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს. წამების აკრძალვა არა მხოლოდ ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებაა, არამედ იგი საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით ნორმას წარმოადგენს.

წამების ზუსტი დეფინიცია მოცემულია გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის კონვენციის (შემდგომში - გაეროს კონვენცია) პირველ მუხლში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გაეროს კონვენცია სახელმწიფოს ავალდებულებს არა მხოლოდ წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციას, არამედ ასევე დანაშაულის აღკვეთას და ფაქტებზე შესაბამის რეაგირებას, რაც გულისხმობს თითოეულ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას და გამოვლენილ დამნაშავეთა სათანადოთ დასჯას, ხოლო წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციას და კომპენსირებას. წამების ჩამდენ პირთა მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

კონსტიტუციის მე-17 მუხლი, თავისი აბსოლუტური შინაარსიდან გამომდინარე, მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ მან კონსტიტუციის ნორმის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში განხორციელოს ეფექტიანი გამოკვლევა ფაქტის დადგენისა და სამართლებრივი დასჯის მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პატივისა და

---

<sup>3</sup>იქვე. პარ 43.

<sup>4</sup>იქვე პარ 51.

ხელშეუვალობის უფლება არის აბსოლუტური და კონსტიტუცია არ იძლევა მისი შეზღუდვის შესაძლებლობას.<sup>5</sup>

გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლის 14 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულ ვლადიმერ ბედუკაძის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ, რასაც საფუძვლად დაედო საქართველოს მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილსა და ვლადიმერ ბედუკაძეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება „განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ“. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაკუთრებულ შემთხვევებში პროკურორს აძლევს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან/სასჯელისგან სრულად გათავისუფლების შესახებ საპროცესო შეთანხმების დადების საშუალებას.<sup>6</sup> თუმცა, ამავე მუხლის მე-8 ნაწილი დაუშვებლად მიიჩნევს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>ა</sup>, 144<sup>ბ</sup> და 144<sup>გ</sup> მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე მსჯავრდებულის სასჯელისგან სრულად გათავისუფლებას. აღნიშნული საპროცესო შეთანხმების გაფორმებამ გარკვეული გაუგებრობა წარმოშვა სამართლებრივი თვალსაზრისით, რადგან საპროცესო და მატერიალური კოდექსების ნორმათა ურთიერთწინააღმდეგობა და ბუნდოვანება აღნიშნული აკრძალვის ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

„წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერ პირს, რომელიც არის წამებაში მონაწილე ან თანამონაწილე, დაუწესდეს შესაბამისი სასჯელი. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულება იერარქიულად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე მაღლა მდგომი აქტია და საპროცესო კოდექსის ნორმები და მათი გამოყენების პრაქტიკა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საერთაშორისო სტანდარტებთან.

წამების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი, მანფრედ ნოვაკი ჯერ კიდევ 2005 წლის ანგარიშში მიუთითებდა საპროცესო შეთანხმების ბათილობის აუცილებლობაზე, თუ ის ხელს უშლის სამართალდამცავთა პასუხისგებაში მიცემას წამებისა და არასათანადო მოპყრობის დანაშაულის შემთხვევაში. ამავე ანგარიშში ხაზგასმულია გენერალური პროკურორის მხრიდან საპროცესო შეთანხმების გამოყენების ცალსახად გამორიცხვის აუცილებლობა, თუკი არსებობს ეჭვი წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მთავარმა პროკურორმა გადააჭარბა კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და საერთაშორისო ვალდებულებათა საწინააღმდეგოდ წამებაში ბრალდებული პირი სრულად გაათავისუფლა პასუხისმგებლობისგან. მთავარი პროკურორის გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება ხსენებულ საერთაშორისო სტანდარტს და ქმნის მსგავსი ტიპის დანაშაულთა წახალისების საფრთხეს, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი პრაქტიკა ლახავს დაზარალებულ პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის N2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.პ.3;

<sup>6</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლი

წამების აკრძალვის, როგორც აბსოლუტური უფლების დაცვის, კუთხით მნიშვნელოვნად მივიჩნევთ შევხვით სასჯელადსრულების დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ გასული წლის შემოდგომაზე დაწყებული გამოძიების მიმდინარეობის საკითხსაც. აუცილებლად მიგვაჩნია, სახელმწიფომ ეფექტურად წარმართოს გამოძიება და პასუხისგებაში მისცეს აღნიშნულ დანაშაულებებში მონაწილე ყველა პირი. სახელმწიფოს მიერ ამ ხნის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯები შესაძლებელია არაადამაკმაყოფილებლად შეფასდეს. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფომ დროულად მოახდინოს წამების მსხვერპლთა იდენტიფიცირება და მათ მიმართ განახორციელოს სათანადო ღონისძიებები, მათ შორის, ფსიქორეაბილიტაციისა და მიყენებული ზიანის მატერიალური ანაზღაურების კუთხით. შემაშფოთებელია, რომ ბოლო პერიოდში გახშირდა სახელმწიფოს მხრიდან წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი კადრების გასაჯაროება, რომლებიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აღმოჩენილი იქნა სპეციალურ სამალაგებში. სახელმწიფომ წამების ფაქტებზე რეაგირება კანონის სრული სიმკაცრით უნდა მოახდინოს, თუმცა ამ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილება მართლმსაჯულების ფარგლებში მოხდეს და ამან დამატებითი ზიანი არ მიაყენოს წამების მსხვერპლთა ინტერესებს. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან კადრების გასაჯაროება ზიანს აყენებს წამების მსხვერპლთა ინტერესებს და ქმნის მათდამი ფსიქიკური ტკივილის განმეორებით მიყენების რეალურ საფრთხეს. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ კადრების საზოგადოებისთვის ჩვენება დაზარალებულებს და მათი ოჯახის წევრებს დამატებით სულიერ ტანჯვას აყენებს, რაც მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მიზნებთან წინააღმდეგობაში მოდის. აბსოლუტურად გაუგებარია, რომელი სამართლებრივი ინტერესის დასაცავად ახდენს სახელმწიფო ხსენებული ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებას იმ ფონზე, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი იმთავითვე ნდობას გამოხატავს კადრების ავთენტურობასთან დაკავშირებით.

იმავდროულად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ვიდეოჩანაწერების დანაშაულთან დაკავშირება კონკრეტული საქმის გამოძიების პროცესში უნდა ხდებოდეს და დამოუკიდებელი სასამართლოს ობიექტურ შეფასებას უნდა დაექვემდებაროს. ჩვენი აზრით, აუცილებელია, გამოძიების პროცესი გამჭვირვალედ წარმართოს და პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ თუ თავიანთი ღუმლით ან უმოქმედობით ხელს უწყობდნენ მსგავსი დანაშაულის ჩადენას, სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ.

### **3. თავისუფლებისა და ხელშეუვალობის უფლება**

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი იცავს თავისუფლების ხელშეუვალობის უფლებას და თავისუფლების აღკვეთას ან პირადი თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას დაუშვებლად მიიჩნევს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. კონსტიტუცია<sup>7</sup> პირის დაკავებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ადამიანისათვის გადაადგილების შესაძლებლობის აკრძალვა თავისუფლების უფლებაში ჩარევის აუცილებელი ნიშანია.<sup>8</sup>

<sup>7</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.2;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი უზრუნველყოფს ინდივიდის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას, რომლის მიხედვითაც არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა გარკვეული შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურისა. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ეხება პრეზუმფციას, რომლის მიხედვითაც ყველა უნდა სარგებლობდეს თავისუფლებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით „...ნებისმიერი თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის მატერიალური და პროცესუალური ნორმების სრული დაცვით, მაგრამ ეროვნული ნორმები იმავდროულად უნდა შეესაბამებოდეს მე-5 მუხლის ძირითად მიზანს, სახელდობრ, უნდა იცავდეს პირს თვითნებობისაგან.“<sup>9</sup>, პირის თავისუფლების უფლებაში ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებულ ჩარევაზე სასამართლო კონტროლი წარმოადგენს თვითნებობისაგან დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტიას, რომელიც მიმართულია კანონის უზენაესობის დაცვისა და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი უფლების უზრუნველყოფისაკენ.<sup>10</sup> ასევე, კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.<sup>11</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით: „პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან“. ამავე მუხლის შესაბამისად: „დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად“. საქართველოს კანონმდებლობით, დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს დაკავების საფუძველი, განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული, და აცნობოს, რომ მას აქვს დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება.<sup>12</sup>

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2013 წლის 27 ივნისს გაავრცელა ინფორმაცია, რომ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეზე, მერიის ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე, მოწმის სახით დაიკითხნენ ქალაქ თბილისის თვითმმართველობის თანამშრომლები. აღნიშნულ განცხადებას წინ უძღვოდა მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია თბილისის მერიის თანამშრომელთა დაკავების შესახებ.

საგამოძიებო სამსახურმა უარყო აღნიშნული პირების დაკავების ფაქტი და მათი საგამოძიებო სამსახურში ყოფნა მათი როგორც მოწმეების დაკითხვის პროცედურით ახსნა. გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, თვითმმართველობის თანამშრომლები დაბარებულები იყვნენ დაკითხვაზე, რის შემდეგაც მათ დატოვეს საგამოძიებო სამსახური.<sup>13</sup> თვითმმართველობის

<sup>9</sup> Kurt v. Turkey

<sup>10</sup> ksoy v. Turkey

<sup>11</sup> X v. the United Kingdom

<sup>12</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის პირველი ნაწილი

<sup>13</sup> იხ. <http://www.is.ge/News/2301/>;

<http://netgazeti.ge/GE/105/News/21051/>

თანამშრომლებმა საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს არაერთგზის დაადასტურეს, რომ 2013 წლის 27 ივნისს, დილის საათებში, საკუთარი ავტომობილით გადაადგილებისას ისინი მოულოდნელად გააჩერეს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა, აცნობეს, რომ დაკავებულები იყვნენ, ხელბორკილები დაადეს, ჩამოართვეს მობილური ტელეფონები და გადაიყვანეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შენობაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ახვლედიანი თითქმის ერთი საათის განმავლობაში მანქანით ატარეს თბილისის ქუჩებში, ხოლო მოგვიანებით პირდაპირ ავტომობილიდან გაათავისუფლეს.

თვითმმართველობის თანამშრომელთა განცხადებით, დაკავებისას მათ არ აუხსნეს, თუ რა დანაშაულის ჩადენაში ედებოდათ ბრალი, ასევე არ გააცნეს ძირითადი უფლებები. მათივე განცხადებით, საგამოძიებო სამსახურში მიყვანის შემდეგ მათ მიმართ დაიწყო დაკავების ოქმების შედგენა და ნაწილს განუმარტეს, რომ მათ ბრალი ედებოდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

დაკავებულთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ საგამოძიებო ორგანოში მოულოდნელად შეწყვიტეს მათი დაკავების პროცედურის დოკუმენტირება და გაანადგურეს შედგენილი დოკუმენტაცია. დაკავებულების განცხადებით, ამის შემდეგ სამართალდამცავებმა ფორმალურად შეადგინეს მათი მოწმის სახით დაკითხვის ოქმები, სადაც დააფიქსირეს მხოლოდ მათი დემოგრაფიული მონაცემები და სამუშაო გამოცდილება, ხოლო მოგვიანებით ყველა მათგანი დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლეს.

აღნიშნული შემთხვევის ანალიზი ცხადყოფს თბილისის თვითმმართველობის თანამშრომელთა მიმართ საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით აღიარებული არაერთი უფლების დარღვევის ფაქტს. საგამოძიებო სამსახურის მიერ გაკეთებული ოფიციალური განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი ჰქონდა არა თვითმმართველობის თანამშრომელთა დაკავების, არამედ მათი მოწმის სახით დაკითხვის ფაქტს, წინააღმდეგობაში მოდის როგორც ადამიანის უფლებათა აღიარებულ სტანდარტთან, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთანაც. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოწმის მიყვანა ხორციელდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგამოძიებო მოქმედებაში მისი მონაწილეობა, თუ იგი უარს ამბობს ნებაყოფლობით გამოცხადებაზე. საქართველოს კანონმდებლობა მოწმის იძულებით მიყვანას ითვალისწინებს მხოლოდ სასამართლო განჩინების არსებობის შემთხვევაში.<sup>14</sup> მიყვანის გამოყენებისათვის, რომელიც თავის თავში მოიცავს პირისათვის თავისუფლების შეზღუდვისა და იძულების ელემენტს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს მოწმის მიერ უარის თქმას საგამოძიებო მოქმედებაში ნებაყოფლობით მონაწილეობაზე. თუ დავუშვებთ, რომ მართლაც ადგილი ჰქონდა მოწმეთა იძულებით მიყვანას, მაშინ მოწმეებს წინასწარ უნდა სცოდნოდათ, სად უნდა მისულიყვნენ დაკითხვაზე და რა პროცედურები წარიმართებოდა მათ მიმართ, თუ ისინი დაკითხვაზე არ გამოცხადდებოდნენ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი იძულებითი მიყვანის წესის განხორციელება. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს

<sup>14</sup> იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები



არც მედიისათვის გაკეთებულ კომენტარში და არც სპეციალურად ოფიციალურ საიტზე განთავსებულ განცხადებაში არ განუმარტავს ის, რომ თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირებს მიეცათ გაფრთხილება საგამომიებო ორგანოებში ნებაყოფლობით გამოცხადებისათვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ადამიანის მიმართ თავისუფლების შეზღუდვის და იძულების ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება. საპროცესო კოდექსი ცალსახად კრძალავს მიყვანის, როგორც იძულების ღონისძიების გამოყენებას, მაშინ როცა პირს წინასწარ არ მისცეს საგამომიებო ორგანოში ნებაყოფლობით გამოცხადების შესაძლებლობა. ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის განცხადება, რომ: „საგამომიებო სამსახურს აქვს უფლება პირს პირისპირ განუცხადოს, რომ ის დაკითხვაზე დაბარებული, ამის გაკეთების რამდენიმე სამართლებრივი ფორმა არსებობს და საგამომიებო სამსახურმა აირჩია ეს“<sup>15</sup> - წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან, ისევე როგორც საგამომიებო სამსახურის მიერ ჩატარებული იძულებითი ღონისძიება, რომელიც დაკავებული პირების მიმართ გასცდა სამართლებრივ ფარგლებს.

გაუგებრობა კიდევ უფრო გაზარდა იმ გარემოებამ, რომ დილით დაკავებული ყველა პირი რამდენიმე საათში გათავისუფლდა, ხოლო იმავე დღეს, ღამით, რამდენიმე მათგანი კვლავ დააკავეს<sup>16</sup>. აღნიშნული გარემოება საფუძვლიანს ხდის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით მითითებას, რომლის თანახმად: „დაუშვებელია პირის განმეორებით დაკავება მხოლოდ ერთი და იმავე მტკიცებულებების ან/და ინფორმაციის საფუძველზე.“

2013 წლის 21 მაისს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი და კახეთის გუბერნატორი (ყოფილი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი) ზურაბ ჭიაბერაშვილი დააკავა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, დაკავებულებს ბრალი ედებათ 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვაში. ვანო მერაბიშვილს ბრალი ასევე წაეყენა 2009 წლის მაისში ვანო მერაბიშვილისა და მისი ოჯახის მიერ კვარიათში შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ კუთვნილი ფემენბელური აგარაკის, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით და დაშინებით დაკავებაში.

სასამართლომ, პროკურატურის მოთხოვნით, ვანო მერაბიშვილს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაკავებას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებენ. მათივე განცხადებით, მერაბიშვილი საგამომიებო ორგანოებში ყოველთვის ცხადდებოდა და მისი დაკავება მხოლოდ პოლიტიკური მოტივით აიხსნება.

<sup>15</sup> იხ. <http://netgazeti.ge/GE/105/News/21063/>

<sup>16</sup> იხ. <http://www.is.ge/News/2303>

იმავდროულად აღსანიშნავია, რომ პროკურატურას არ გაუვრცელებია დამაჯერებელი მტკიცებულებანი, რომლებიც ცხადყოფდა, რომ ვანო მერაბიშვილი აპირებდა მიმალვას ან რაიმე სახის ზემოქმედებას ახდენდა მოწმეებზე, რაც ნაკლებად საფუძვლიანად წარმოაჩენდა ოპონენტთა ეჭვებს მერაბიშვილის დაკავებისა და დაპატიმრების პოლიტიკურად მოტივირებულობასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის ბრალდება წარმოდგენილი იყო მტკიცებით ფორმაში, რაც მათი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას წარმოადგენდა.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ თვალყურს მიადევნებს აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვას და დამატებით ინფორმაციას მომავალ ანგარიშში ასახავს.

#### 4. სამართალდამცავი ორგანოების ქმედებათა კანონიერება

სამართალდამცავი ორგანოების მოხელეთა მიერ საკუთარი ქცევის კანონის ფარგლებში მოქცევა კანონის უზენაესობის პრინციპის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. თანამედროვე სახელმწიფოს კონცეფცია ემყარება იმ პრინციპს, რომ სახელმწიფო, ერთი მხრივ, ადგენს სამართალს და, მეორე მხრივ, ახდენს მის ჯეროვან იმპლემენტაციას. საჯარო მოსამსახურეები და, მათ შორის, უპირველესად სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, უნდა იყვნენ კანონის უმთავრესი დამცველები. 2013 წლის 28 მარტს, ბათუმში, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ („საია“) თანამშრომელსა და შსს აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსს ვალერიან თელიას შორის ინციდენტი მოხდა. როგორც გავრცელებული ვიდეოჩანაწერებიდან ჩანს, ავტომობილით მოძრაობის წესების დარღვევით მოძრაობა „საია“-ს თანამშრომელმა საავარიო სიტუაცია შექმნა. ინციდენტში მონაწილე მეორე პირი სწორედ ვალერიან თელია აღმოჩნდა.

გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში ნათლად ჩანს ინციდენტის მიმდინარეობა და ის ემთხვევა „საია“-ს თანამშრომლის მონათხრობს. როგორც გავრცელებული ინფორმაცია ცხადყოფს, „საია“-ს თანამშრომელმა ფიზიკური შეხლა-შემოხლის შედეგად მიიღო გარკვეული დაზიანებები. სწორედ „საია“-ს თანამშრომლების მიერ მოხდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახება.<sup>17</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გენერალური ინსპექციის მიერ დაუყოვნებლივ დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება, ხოლო 2013 წლის 2 აპრილს გამოქვეყნდა შესაბამისი დასკვნა,<sup>18</sup> რომელიც ცალმხრივად ასახავდა მომხდარ ინციდენტს და პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე გადაჰქონდა „საია“-ს თანამშრომელზე. საკითხის სიმწვავე მდგომარეობს იმაშიც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ განადგურდა ინციდენტთან ახლოს მდებარე სამეთვალყურეო კამერით გადაღებული ვიდეოჩანაწერი, ხოლო აღნიშნული საქმის გამოძიება იმავე პირს დაევალა, ვის მიმართაც ვიდეოჩანაწერის განადგურების შესახებ ეჭვი არსებობდა.

<sup>17</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://netgazeti.ge/GE/105/News/18119/> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>18</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=4033> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

შემოწმების დასრულების შედეგად, გენერალურმა ინსპექციამ დასკვნაში აღნიშნა, რომ „პოლიციის თანამშრომელი - გ. ს. მივიდა გორგასლის ქუჩაზე მდებარე კომერციულ ობიექტ „ბათუმის სახლში“, საიდანაც უნდა მომხდარიყო აღნიშნული ობიექტის გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერიდან გადაღებული ვიდეოჩანაწერის ამოღება, რა დროსაც გ. ს-მ დაუდევრობით ვერ მოახერხა ჩანაწერის ამოღება და დააზიანა არსებული ვიდეოფაილები, რომელთა აღდგენაც შემდგომში ვეღარ მოხერხდა.“

გენერალური ინსპექციის დასკვნის მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან აღნიშნული ინციდენტის შესახებ დამატებით რეაგირებაზე რაიმე ინფორმაცია აღარ გავრცელებულა.

აღნიშნული ინციდენტი ცხადყოფს, რომ სამართალდამცავი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ კანონის ფარგლებში საქმის ობიექტურ გამოძიებას, მითუმეტეს მაშინ როდესაც ინციდენტის ერთ-ერთი მხარე შსს-ს თანამშრომელია. ხოლო საქმის გამოძიების ვალდებულების დაკისრება იმ პირისათვის, რომლის მიმართაც საზოგადოებაში არსებობს ეჭვი ვიდეოფაილების განადგურების შესახებ, იმთავითვე მიუთითებს იმაზე, რომ გამოძიება ობიექტურად და მიუკერძოებლად ვერ წარიმართებოდა.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ახალგაზრდული ფრთის ხუთი წარმომადგენელი პოლიციამ დააკავა ფასადის დაზიანებისა და იერსახის დამახინჯების ბრალდებით. დაკავებულების განცხადებით, ისინი 19 აპრილს დაგეგმილი აქციის პლაკატებს აკრავდნენ. პატრულის თანამშრომლებმა დაკავებულები ჯერ პოლიციის ორთაჭალის განყოფილებაში, შემდეგ კი საპატრულო პოლიციის მთავარ დეპარტამენტში გადაიყვანეს. ამის შემდგომ ხუთივე მათგანი გაათავისუფლეს, სამს ხელწერილი დააწერიეს, ერთს კი ფულადი ჯარიმა დააკისრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო მხოლოდ ერთი პირის დაკავებას ადასტურებს. მომხდარზე დაიწყო ადმინისტრაციული საქმის წარმოება და ერთ-ერთ მათგანს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით 50 ლარის ჯარიმა შეეფარდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ 19 ივნისს ფილარმონიასთან პოლიციამ სამი სტუდენტი დააკავა მიწისქვეშა გადასასვლელის კედლებზე წარწერების მოხატვისთვის ლოზუნგით „არ შეეხოთ უნივერსიტეტებს“. მოგვიანებით კი მათ სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციული ჯარიმა, 100 ლარი დააკისრა და გაათავისუფლა.<sup>19</sup>

25 ივნისს პირველ გიმნაზიასთან დააკავეს ხუთი სტუდენტი, ერთი მათგანი მოგვიანებით გაუშვეს.<sup>20</sup> სტუდენტები აბრას წარწერით „არ შეეხოთ უნივერსიტეტის ავტონომიას“ ილიასა და აკაკის ძეგლებზე დაკიდებას აპირებდნენ. ამ დროს ისინი სამართალდამცავებმა დააკავეს და ორთაჭალაში, საგამოძიებო სამსახურში გადაიყვანეს. შსს-მ აღნიშნულთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება და გაავრცელა ინფორმაცია რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დროს ორი სტუდენტის დაკავების შესახებ. შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აქციის მონაწილე ორ სტუდენტს ჰქონდა

<sup>19</sup> [http://www.myvideo.ge/?video\\_id=2072588](http://www.myvideo.ge/?video_id=2072588)

<sup>20</sup> <http://www.youtube.com/watch?v=0RF8lnvWx7c>

მცდელობა პირველი საჯარო სკოლის წინ დაეკიდა პლაკატები, რის გამოც ისინი საპატრულო პოლიციამ დააკავა. საქმე აღიმართა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით, რაც 50-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.<sup>21</sup> მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მათ ჰქონდათ თოკი, რითაც პლაკატი უნდა დაეკიდათ ძეგლზე, ფოტო გადაეღოთ და აეტვირთათ ვებგვერდზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობდა ძეგლის დაზიანების მცდელობა და შესაძლებლობა. ერთი მათგანი კი გაათავისუფლეს იმის გამო, რომ ხელში არც თოკი და არც პლაკატი არ ეჭირა.

აღნიშნული ფაქტები გვიჩვენებს სამართალდამცავების მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბებას. „ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსის“ 246-ე მუხლში ჩამოთვლილია ის საფუძველები, რომლის არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაკავება. აღნიშნულ ჩამონათვალში მსგავსი საფუძველი არ არის მითითებული, რომლის არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია პირის ადმინისტრაციული წესით დაკავება. შესაბამისად, მომხდარი შეიძლება შეფასდეს, როგორც კანონის ფარგლების დარღვევა და აღნიშნული პირებისათვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, ისევე როგორც მათი უკანონო დაკავება.

## 5. უდანაშაულობის პრეზუმფცია

უდანაშაულობის პრეზუმფცია დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით, რომლის მიხედვითაც ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. აღნიშნული უფლება არ გამოირიცხავს შესაძლებლობას, სახელმწიფო უფლებამოსილმა ორგანოებმა საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ, თუმცა ეს უნდა მოხდეს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ უნდა არღვევდეს პირის უდანაშაულობის პრეზუმფციას.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად“. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „სალაბიაკუ (Salabiaku) საფრანგეთის წინააღმდეგ“ აღნიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც სამართლიანი სასამართლოს განხილვის ელემენტი, „მიზნად ისახავს კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპების დაცვას“.

უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს გარანტიას, რომლითაც, პირველ რიგში, იზღუდება სასამართლო ხელისუფლება იმისათვის, რომ არ მოახდინოს კონკრეტული პირის სისხლისსამართლებრივ ბრალეულობაზე<sup>22</sup> მითითება გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე.<sup>23</sup>

<sup>21</sup> <http://www.youtube.com/watch?v=884OCcbE1Mg>

://gyla.ge/geo/news?info=798 > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 2 მაისს].

16 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. 64.

იგივე ვრცელდება პროკურორებსა თუ სხვა<sup>24</sup> საჯარო პირებზე, რომლებიც აკეთებენ განცხადებებს კონკრეტულ პირთა ბრალეულობის შესახებ.<sup>25,26</sup>

2013 წლის პირველ ნახევარში სხვადასხვა უწყებებისა და თანამდებობის პირთა მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეში დარღვევის მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა.<sup>27</sup> საქართველოს პრეზიდენტი საკუთარ განცხადებებში ხშირად პირდაპირ მიუთითებდა გარკვეულ პირებზე, როგორც სამართალდამრღვევებზე.<sup>28</sup> იმავდროულად აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსური პოლიციის მიერ ხშირად ხდება იმგვარი განცხადებების გავრცელება, რომლებითაც ისინი მტკიცებით ფორმაში გვამცნობენ ბრალდებულ პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს და ამით უხეშად არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციას.<sup>29</sup> რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული მონაცემები პირდაპირ მიუთითებს სხვადასხვა საგამომიებო ორგანოთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, სადაც კონკრეტული პირები იდენტიფიცირებულნი არიან როგორც დანაშაულთა უშუალო ჩამდენები.<sup>30</sup>

აღსანიშნავია 2013 წლის პირველ მაისს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნინო გორგობიანის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელმაც საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანის დაკავების შესახებ. ამ განცხადებაში ბრალი მოცემულია მტკიცებით ფორმაში, კერძოდ: „2013 წლის იანვარის თვეში განხორციელდა ტრაქტორებისა და საჭირო ტექნიკის შეძენა, რა დროსაც თანამდებობის პირებმა დანაშაულებრივი ქმედებით გაფლანგეს მოსახლეობის დასახმარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ორი მილიონ ხუთასი ათასი ლარი. მხილებულმა პირებმა დანაშაულის დასაფარად ზეწოლა მოახდინეს სისხლის სამართლის საქმეზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფზე, რათა მიეღოთ მათთვის სასურველი დასკვნა და თავი აერიდებინათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის.“

აღსანიშნავია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის განცხადებაც, რომელიც შეეხებოდა თბილისის თვითმმართველობის მაღალჩინოსნების დაკავებას.

<sup>23</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Baars v. the Netherlands, პარ. 28.

<sup>24</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Daktaras v. Lithuania, პარ. 42.

<sup>25</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2000 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Mr. Dimitry L. Gridin v. Russian Federation, პარ. 8.2.

<sup>26</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის N32 ზოგადი მოხსენება, პარ. 30.

<sup>27</sup> <http://police.ge/ge/shss-m-meughlisa-da-shvilis-mkvleobashi-braldebuli-daakava/4967>

<http://police.ge/ge/shss-m-arasrultslovnis-mimart-garkvnili-qmedebis-braldebit-erti-piri-daakava/4969>

<http://police.ge/ge/shss-m-ganzrakh-mkvleobis-faqtze-erti-piri-daakava/4943>

<http://police.ge/ge/news-archive4925/4925>

<sup>28</sup> inter alia, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 თებერვლის ჩართვა პირდაპირ ეთერში, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.youtube.com/watch?v=IdlUmwW5aZw> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 7 მაისს].

<sup>29</sup> აღნიშნულის შესახებ საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ აღნიშნა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://gdi.ge/?p=237> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 7 მაისს].

<sup>30</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.netgazeti.ge/GE/105/law/19288/> >;

< <http://www.netgazeti.ge/GE/105/law/18477/> > და < <http://info9.ge/?l=G&m=108&f=0&id=8598> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 7 მაისს].



განცხადებაში დაკავებული თანამდებობის პირები დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებად არიან მოხსენიებული<sup>31</sup> ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მათ ბრალეულობაზე სასამართლოს არ უმსჯელია. მართალია, საქართველოს კონსტიტუცია, ისევე როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, დეკლარაციულად აღიარებს პირის უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში არ არსებობს ეფექტური საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ თავში ასახული უფლებადარღვევების პრევენციას და შექმნიან მათზე რეაგირების ეფექტურ მექანიზმებს.

## 6. პირადი ცხოვრების შემცველი მასალის გავრცელება

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი მოიცავს ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემას და სახელმწიფოს მხრიდან ითხოვს ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობის უზრუნველყოფას. მეორე მხრივ, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს დაცული უფლებით სარგებლობაში და უზრუნველყოს პიროვნების დაცვა მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან.<sup>32</sup>

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს თავისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემა. აღნიშნული მუხლის პრინციპებიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება პოზიტიურად იმოქმედოს ცალკეულ გარემოებებში პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების უზრუნველსაყოფად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ერი ირლანდიის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ, მიუხედავად მე-8 მუხლის მიზნებისა, პიროვნება დაიცავს სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა თვითნებური ჩარევისაგან, იგი არა მარტო ავალდებულებს სახელმწიფოს თავი შეიკავოს ასეთი ჩარევისაგან, არამედ სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულებაც უზრუნველყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. აღნიშნული უფლება კი, თავის მხრივ, გულისხმობს პიროვნების უფლებას იცხოვროს ისე, როგორც თავად სურს, და მისი ცხოვრების წესი დაცული იქნეს საჯაროობისაგან.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის კუთხით საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ყურადღება რამდენიმე ფაქტმა მიიპყრო. 2013 წლის 14 იანვარს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა მიერ ხდებოდა სექსუალურ უმცირესობას მიკუთვნებულ პირთა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის ფარულად და უკანონოდ გადაღება, ხოლო შემდგომ აღნიშნული კადრების

<sup>31</sup> <http://is.ge/News/2303>

<http://is.ge/News/2304>

<sup>32</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, II.პ.4;

გავრცელების მუქართ მათი იძულება, ეთანამშრომლათ სპეციალურ სამსახურებთან.<sup>33</sup> პროკურატურამ მედიას გადასცა შესაბამისი ჩანაწერები, რომლებიც გამოქვეყნდა.<sup>34</sup>

2013 წლის 14 იანვარს საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებულ მასალებში ზემოაღნიშნულ პირთა სახე დაფარულია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ვიდეოჩანაწერის მონტაჟი ვერ უზრუნველყოფს გადაღებული პირების იდენტიფიცირებისგან სრულ დაცვას. ვიდეომასალაში შესაძლებელია გადაღებული პირების აღნაგობის, თმის ფერის და ტანსაცმლის გარჩევა.<sup>35</sup> შესაბამისად, შესაძლებელი ხდება გარკვეული კატეგორიის პირთა მიერ იმ პირთა იდენტიფიცირება, რომლებიც კადრებში არიან აღბეჭდილნი. ამ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, პროკურატურის ქმედება არ უნდა ახდენდეს დანაშაულში დაზარალებულ პირთა ვიქტიმიზაციის ხელშეწყობას. მიგვაჩნია, რომ ამგვარი კადრების გავრცელება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. საზოგადოების ინფორმირებულობის ინტერესმა არ უნდა გადაძლიოს თუნდაც ერთი ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ვალდებულება.

2013 წლის 3 მაისს ინტერნეტით გავრცელდა ფარული ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახული იყო სავარაუდოდ ერთ-ერთი ჟურნალისტის - გიორგი ფარესაშვილის - პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალები. გავრცელებულ ვიდეოჩანაწერთა ავთენტურობა, მართალია, გიორგი ფარესაშვილმა უარყო, მაგრამ ჩანაწერების გავრცელებაში რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი დაადანაშაულა, ხოლო მისი გავრცელება სწორედ მის აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობასა და აღნიშნული თანამდებობის პირების შესახებ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას დაუკავშირა. გიორგი ფარესაშვილი ვიდეოჩანაწერის გავრცელებაში ადანაშაულებდა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს - გელა ხვედელიძეს, მთავარი პროკურორის მოადგილეს - ლაშა ნაცვლიშვილსა და გია ხუბაშვილს, რომელიც პრემიერ-მინისტრის მრჩეველია, ხოლო მოტივად ხსენებული ადამიანების საერთო ბიზნესინტერესების შესახებ მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გასაჯაროებას ასახელებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია გამოძიების წარმოების შესახებ. იმავდროულად საქართველოში მოღვაწე ჟურნალისტის, ელისო კილაძის მიერ გაკეთდა განცხადება, რომ მას ხელთ გააჩნდა აუდიოჩანაწერი, სადაც ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი სწორედ მსგავსი ჩანაწერის არსებობაზე საუბრობდა და მისი გავრცელებით იმუქრებოდა. ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დააკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე - გელა ხვედელიძე<sup>36</sup>, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ განხორციელებული რეაგირება არასაკმარისია და აუცილებელია, გამოძიება ბოლომდე იქნეს მიყვანილი, რათა პასუხისგებაში მიეცეს ყველა ის პირი, რომელსაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეს მომხდარ ფაქტთან.

<sup>33</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/113633/> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>34</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://www.youtube.com/watch?v=9sJ0NAr11WU> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>35</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

< <http://www.ombudsmen.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1627> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>36</sup> ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ჰქონდა წაყენებული

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში ინახება 17000-მდე უკანონო ვიდეოჩანაწერი, რომელთა დიდ ნაწილზე სწორედ მოქალაქეთა მაკომპრომეტირებელი ინფორმაციაა ჩაწერილი. როგორც სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული ინფორმაცია მათ ხელისუფლების გადაბარების შემდეგ სამინისტროს არქივში, ხოლო ნაწილი სპეციალურ საცავებში აღმოაჩინეს. საქართველოს კანონმდებლობა<sup>37</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს ავალდებულებს ხსენებული მასალების დაუყოვნებლივ განადგურებას, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, ჯერჯერობით შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ კუთხით საბოლოო ნაბიჯი არ გადაუდგამს. სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებმა რამდენჯერმე განაცხადეს ვიდეოჩანაწერების წაშლის გადაწყვეტილების შესახებ, თუმცა დღემდე აღნიშნული არ განხორციელებულა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების თვალსაზრისით აღსანიშნავია ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში გავრცელებული ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლის თანაშემწის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით შანტაჟის მცდელობასთან დაკავშირებით. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დღემდე არ დასრულებულა.

ფარული ჩანაწერების არსებობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ კიდევ ერთხელ მიაპყრო სამოქალაქო საზოგადოების ყურადღება პირადი ცხოვრებისა და პირადი საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობის ნაკლოვანებისადმი. ცხადია, რომ საქართველოს კანონმდებლობა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებით საჭიროებს გადახედვას, რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს მსგავსი ფაქტების თავიდან აცილება. ამ მხრივ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ეფექტური სამოქალაქო კონტროლის მექანიზმის შექმნა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მსგავსი კატეგორიის დანაშაულისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული დებულება უდგენს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, არ გაამჟღავნოს ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია კონკრეტული პირის თანხმობის გარეშე და შესაბამისად წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთ სპეციფიკურ კომპონენტს.<sup>38</sup> ეს დებულება ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების მაქსიმალური პატივისცემა და უფლების

<sup>37</sup> საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. მუხლი 6.4.

<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. პ.15.



შეზღუდვა მოახდინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია სხვა თანაბრად ღირებული ინტერესის უზრუნველყოფა.

2013 წლის პირველ ნახევარში გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გამჟღავნდა პირთა პირადი მონაცემები, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან.

2013 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ოფიციალური პირების მიერ ხდებოდა გარკვეული კატეგორიის პირთა შესახებ პირადი მონაცემების გამჟღავნება სატელევიზიო ინტერვიუებში. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი ეხება საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.<sup>39</sup> მოგვიანებით, აღნიშნული განცხადების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე სამართლებრივი განმარტება გააკეთა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ვახტანგ ხმალაძემ. ამ უკანასკნელის განცხადებით, „როცა საქმე უმაღლესი თანამდებობის პირებს ეხება, საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“.<sup>40</sup> მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია ასევე გაასაჯაროვა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეკა ბესელიამ, რომელმაც ადგილობრივ მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული მასალა დაუკავშირა ფოთის თვითმმართველობის მიერ აღნიშნული მასალის ავტორის - ჟურნალისტის ოჯახის წევრის სამკურნალოდ თანხის გამოყოფაზე უარს.<sup>41</sup>

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, განსაზღვრულია „განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის“ ცნება, რომელთა შორის სხვა მონაცემებთან ერთად მოიაზრება ინფორმაცია პირთა ჯანმრთელობის შესახებ. კანონის მე-6 მუხლი კრძალავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას, რომელიც თავის თავში გულისხმობს მის გასაჯაროებასაც.<sup>42</sup> შესაბამისად, არ უნდა მოხდეს ინფორმაციის გასაჯაროება, როდესაც არ არის სახეზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც ეხება ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, ექვემდებარება მკაცრ შემოწმებას ევროპული სასამართლოს მხრიდან.<sup>43</sup> მიუხედავად იმისა, რომ ევროსასამართლო სახელმწიფოებს აძლევს შეფასების გარკვეულ ზღვარს გარკვეულ უფლებებთან მიმართებით, როდესაც საკითხი ეხება ჯანმრთელობის შესახებ

<sup>39</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <[http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=13744:2013-03-15-09-53-38&catid=98:politics&Itemid=457#axzz2T4R71a16](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=13744:2013-03-15-09-53-38&catid=98:politics&Itemid=457#axzz2T4R71a16) > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>40</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://www.gurianews.com/home/2010-11-25-16-57-25/8869-2013-03-19-11-55-35.html> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>41</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://qartli.ge/web/10906> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>42</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>43</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 25 თებერვლის განჩინება საქმეზე: Z v. Finland, პარ 96.

ინფორმაციის გამჟღავნებას, ეს ზღვარი არის მცირე და სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს საკმარის მნიშვნელოვანი არგუმენტები მათი გამჟღავნების აუცილებლობის შესახებ.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ შემთხვევებში არ არსებობდა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის ვალდებულება, რაც გადაწონდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და სავალდებულოს გახდიდა მოცემული ინფორმაციის გავრცელებას. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ პოლიტიკოსების მხრიდან დაირღვა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

## 7. შეკრება-მანიფესტაციის უფლება

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დაუბრკოლებელ განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>44</sup> სახელმწიფოს არა მხოლოდ ეკრძალება გაუმართლებელი ჩარევა აღნიშნულ უფლებაში, არამედ მას ეკისრება პოზიტიური ვალდებულებაც მიიღოს ეფექტური ზომები აზრის დაუბრკოლებლად დაფიქსირებისა და შეკრების თავისუფლების უზრუნველსაყოფად.<sup>45</sup> კერძოდ, სახელმწიფო ორგანოებმა ყველა ზომას უნდა მიმართონ, რათა უზრუნველყონ მანიფესტანტების უფლებების ჯეროვანი განხორციელება და მათი ეფექტური დაცვა სხვა პირთა მხრიდან მომართული შესაძლო აგრესიისგან.<sup>46</sup> თავის მხრივ, ნებისმიერი შეკრება და მანიფესტაცია, რომელიც სცდება კანონის ფარგლებს, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და რომელსაც თან ახლავს ძალადობა, უნდა იქნეს აღკვეთილი.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ნათლად ჩანს, რომ კონვენცია არა მარტო ავალდებულებს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების ხელისუფლების ორგანოებს, პატივი სცენ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ ასევე მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ უფლებათა და თავისუფლებათა ნებისმიერი დარღვევის აღკვეთა და დარღვევის შედეგად გამოწვეული შედეგების გამოსწორება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება განახორციელონ გონივრული და შესაბამისი ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყონ კანონიერი დემონსტრაციების გამართვას.<sup>47</sup> ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფოსგან მოითხოვს ყველა აუცილებელი ზომის მიღებას, რათა უფლებების დარღვევა ან ასეთი დარღვევის საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირებისთვის, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს ან უმცირესობის რომელიმე ჯგუფს განეკუთვნება.

<sup>44</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "მომრავა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები - ზვიად მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. პ. 3.

<sup>45</sup> inter alia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე: Plattform Arzte fur das Leben v. Austria, პარ 34.

<sup>46</sup> inter alia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: Alekseyev v. Russia, პარ 73.

<sup>47</sup> Plattform “Arzte fur das Leben” v. Austria

2013 წლის პირველ ნახევარს საქართველოში საკმაოდ პრობლემური იყო შეკრება-მანიფესტაციის უფლების რეალიზების კუთხით.

## 8 თებერვალი

2013 წლის 8 თებერვალს ეროვნული ბიბლიოთეკის წინ მიმდინარეობდა მანიფესტაცია. მანიფესტანტები აპროტესტებდნენ საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში უნდა გამართულიყო.

საქართველოს პრეზიდენტის მოსასმენად მისული მოქალაქეთა ჯგუფის, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის მოქმედი წევრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიმართ მანიფესტანტების მხრიდან განხორციელდა ძალადობრივი ქმედებები.<sup>48</sup>

ეროვნული ბიბლიოთეკის წინ მიმდინარე აქცია აშკარად გასცდა კანონით დადგენილ ფარგლებს და წინააღმდეგობაში მოვიდა „შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონთან. შეკრება-მანიფესტაციაში მონაწილე პირებმა დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და დაზიანებები მიაყენეს კონკრეტულ პირებს. საპატრულო პოლიციამ ვერ მოახერხა საკუთარი ვალდებულების შესრულება, აქციის მსვლელობისას ორი დაპირისპირებული მხარის „დაშორება“ და ძალადობის თავიდან აცილება, გარდა ამისა, მან ვერ შეძლო კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენელთათვის შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამრღვევ პირთა იდენტიფიცირებისა და მათთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და გარკვეულ პირებიც დააკავა,<sup>49</sup> რაც პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, იმავდროულად აღსანიშნავია, რომ აუცილებელია კანონდამრღვევ პირთათვის დაკისრებული პასუხისმგებლობა იყოს სამართალდარღვევის ადეკვატური, ვინაიდან ნებისმიერ ასეთ ფაქტზე დროული რეაგირება და დაკისრებული სათანადო სანქცია გადამწყვეტ როლს თამაშობს მომავალში ამგვარი ქმედების პრევენციის თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოთა მხრიდან ადგილი ჰქონდა უმნიშვნელო სანქციების გამოყენებას, რაც ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად ჩადენილი დარღვევების სიმძიმის გათვალისწინებით<sup>50</sup>. დაუსჯელობის პრაქტიკამ შესაძლოა წახალისოს მომავალში ძალადობრივი ქმედებები და სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობის საკითხიც კი წამოჭრას. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება მიიღოს ეფექტური ზომები, რათა

<sup>48</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.civil.ge/geo/article.php?id=26540> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 10 მაისს].

<sup>49</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=3903> > < <http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=3897> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 10 მაისს].

საზოგადოების თითოეულმა წევრმა გაითავისოს ძალადობის დაუშვებლობა და ყველა პირმა, განურჩევლად მისი კუთვნილებისა პოლიტიკური თუ ნებისმიერი სხვა ჯგუფისადმი, სრულყოფილად მოახდინოს საკუთარი უფლებების რეალიზაცია კანონით დადგენილ ფარგლებში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსებმაც გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა, რათა მათი განცხადებები და შეფასებები არ იქცეს მსგავსი კანონსაწინააღმდეგო გამოვლინებების წამახალისებელ ფაქტორად.

## პირველი მაისი

2013 წლის პირველ მაისს რუსთაველის გამზირზე საპატრულო პოლიციამ დააკავა „ლაბორატორია 1918“-ის მიერ ორგანიზებული აქციის მონაწილეები, რის მიზნადაც აქციის მონაწილეთა მხრიდან კანონის დარღვევა დასახელდა.

შსს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აქციის მონაწილეთა დაკავება გამოიწვია მათ მიერ სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენამ, მათ შორის, ავტოტრანსპორტის სავალი ნაწილის დაკავებამ.

მიგვაჩნია, რომ აქციის მონაწილეთა მხრიდან ინდივიდუალურ შემთხვევებში შესაძლოა მართლაც ჰქონოდა ადგილი სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ჩადენას. თუმცა, იმავდროულად, გავრცელებული ვიდეომასალით იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლიციელთა ნაწილს ავიწყდებოდა საკუთარი ქმედების მიზანი – ავტოტრანსპორტის სავალი ნაწილის გათავისუფლება – და მათი მოქმედებები ძირითადად ორიენტირებული იყო აქციაში მონაწილე პირების დაკავებაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილის ტერიტორიაზე. ჩვენი აზრით, პოლიციას მსგავს შემთხვევებში შეეძლო სხვა, ნაკლებმტკივნეული ფორმების (ვიდრე დაკავებაა) გამოყენებით სამართალდარღვევათა აღკვეთა. ასევე, სამწუხარო ფაქტია, რომ აქციის მონაწილეთა დაკავების პროცესში კვლავ მონაწილეობდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები და პოლიციელთა ნაწილი აქციის მონაწილეთა მიმართ იყენებდა შეურაცხყოფელ ლექსიკას. აქციის რამდენიმე მონაწილე უთითებდა დაკავების შემდეგ მათთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის შესახებაც. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ადგილი ჰქონდა ჟურნალისტთა დაკავებას მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს. არაადეკვატურად მიგვაჩნია შს მინისტრის განცხადება, რომ „პოლიცია ადგილზე ვერ გაარკვევდა, ვინ იყო ჟურნალისტი და ვინ არა. მიკროფონი შეიძლება სტუდენტებმაც დაიჭირონ“. მსგავსი განცხადება საფრთხის შემცველია და შეიძლება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისათვის წამახალისებელ ფაქტორად იქცეს სამომავლოდ ჟურნალისტთა მიმართ არასათანადო მოპყრობისათვის.

მნიშვნელოვანია ასევე სამართლებრივად შეფასდეს, ვის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება – ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის შესახებ და ზოგადად ეს გადაწყვეტილება რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. როგორც აქციის მონაწილეთა განცხადებები ცხადყოფენ, მათ მიერ ტრანსპორტის სავალი გზის ნაწილის გადაკეტვა სწორედ აქციის მონაწილეთა რაოდენობის გამო მოხდა და გადაკეტვა თვითმიზანს არ წარმოადგენდა. საქართველოს კანონის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“<sup>11</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ავტოტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის შესახებ „...გადაწყვეტილების მიღება

დაუშვებელია, თუ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად შეუძლებელია...“ ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობით შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას სცდება და ის მიღებული უნდა ყოფილიყო თბილისის მერიის ან საქართველოს მთავრობის მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შესახებ ინფორმაცია კი საჯაროდ არც ერთი დასახელებული უწყებიდან არ გავრცელებულა.

## 17 მაისი

2013 წლის 17 მაისს არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობისა“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია იყო დაგეგმილი, რომელიც თბილისში, პარლამენტის ყოფილი შენობის წინ უნდა გამართულიყო. აღნიშნულ აქციას აკვირდებოდნენ ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პარალელურად დაიგეგმა კონტრდემონსტრაციაც, რომელიც მიმართული იყო უკვე დაგეგმილი აქციის წინააღმდეგ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავდაპირველი აქციის ორგანიზატორთა მხრიდან რამდენიმე დღით ადრე იყო ინფორმირებული გასამართი აქციის ადგილმდებარეობის, აქციის ჩასატარებლად ალტერნატიული ადგილის და დროის შესახებ. შსს ასევე ფლობდა ინფორმაციას მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონოდა და ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქციის მონაწილეებს არ მისცემოდათ შესაძლებლობა ესარგებლათ კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული შეკრების თავისუფლებით.

17 მაისს, მას შემდეგ რაც კონტრდემონსტრანტების მიერ დაკავებული იქნა აქციის გასამართი ტერიტორია (ყოფილი პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია), აქციის ჩატარება გადაწყდა ალტერნატიულ ადგილას - პუშკინის სკვერში. მიუხედავად იმისა, რომ აქციის დაწყების ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია, სამართალდამცავებმა ვერ შეძლეს აქციის მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფა.

სტრატეგია, რომელიც პოლიციამ აქციის მონაწილეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავა, კონტრდემონსტრანტების ოდენობის, მათი უკონტროლო ქცევისა და რისკების გათვალისწინებით არ იყო ადეკვატური და ეფექტური. იმთავითვე ცხადი იყო, რომ აქციის ტერიტორიაზე მობილიზებულ პოლიციელთა მცირე რაოდენობა, გამოყენებული ზომები, საშუალებები და მოქმედებები კანონდამრღვევთა წინააღმდეგ იქნებოდა არაეფექტური.

ჩვენი დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და გავრცელებული კადრების თანახმად, პუშკინის სკვერში დაგეგმილი აქციის მიმართულებით გადაადგილება და კორდონის გადალახვა კონტრდემონსტრანტებმა წინააღმდეგობის გარეშე შეძლეს. პოლიციამ სასულიერო პირების ჯგუფს (რომლებიც წარმოადგენდნენ კონტრდემონსტრანტებს) მისცა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილ აქციაზე შესვლის შესაძლებლობა, რა დროსაც ვეღარ მოხერხდა დამატებითი ნაკადის შეკავება.

კონტრდემონსტრანტებმა აგრესიულად და მასიურად დაიწყეს აქციის მონაწილეთა მიმართულებით გადაადგილება და მთლიანად დაიკავეს აქციისათვის გამოყოფილი სივრცე. კონტრდემონსტრანტები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული აგრესიით და ძალადობდნენ თავდაპირველი აქციის მონაწილეებზე. აქციის მონაწილეთა მხოლოდ ნაწილმა შეძლო ტერიტორიის უსაფრთხოდ დატოვება. ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქციის მონაწილეები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიკროავტობუსებით და ავტობუსებით გაიყვანა შემთხვევის ადგილიდან. გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე მოვლენებისას დაშავდა 17 პირი, ხოლო 12 გადაიყვანეს საავადმყოფოში.

ცალსახაა, რომ პოლიცია არ მოქმედებდა კოორდინირებულად და ხშირ შემთხვევაში იყო უსუსური დაეცვა მოქალაქეთა გამოხატვის თავისუფლება. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ორიენტირებული იყო აქციის მონაწილეთა ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გაყვანაზე და არა აქციის დაცვაზე. პოლიციამ არ გამოავლინა საკმარისი ძალისხმევა რათა უზრუნველყო აქციის მონაწილეთა უსაფრთხოება აქციის გამართვის პროცესში.

კონტრდემონსტრანტების მიერ აქციის ტერიტორიის დაკავების შემდეგ პოლიცია გახდა სრულიად უმოქმედო, რითაც კონტრდემონსტრანტებს მისცა უმართავად გადაადგილების საშუალება, რამაც გაზარდა მათი მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ ინდივიდუალური ანგარიშსწორების შესაძლებლობა, რასაც ჰქონდა კიდევ ადგილი.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია პოლიციელთა დამოკიდებულება ჰომოფობიისა და ტრანსფობიის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქციის მონაწილეთა მიმართ. ყველა დამკვირვებელი ადასტურებდა, რომ პოლიციელები აღნიშნული აქციის მონაწილეებს ერთმანეთთან საუბარში მოიხსენიებდნენ ცინიკურად, შეურაცხმყოფელად და გარკვეულწილად თანაურგონობდნენ კონტრდემონსტრანტებს. ეს დამოკიდებულება ასევე იგრძნობოდა მათ ქცევაში.

აქციის დარბევის შემდეგ ათასობით კონტრდემონსტრანტი კვლავ გადაადგილდებოდნენ ქუჩებში და გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული აგრესიით იმ პირების მიმართ, რომელთაც აიგივებდნენ თავდაპირველი აქციის მონაწილეებთან. სამწუხაროდ პოლიციის ქცევა ამ შემთხვევაშიც არაადეკვატური იყო და შემოიფარგლა მხოლოდ კონფლიქტური ინციდენტების განმუხტვით.

ფაქტია, რომ რადიკალურად განწყობილი ჯგუფის მიერ განხორციელებული ქმედებები გასცდა „მშვიდობიანი აქციის“ ფარგლებს და მათ მიიღეს კანონსაწინააღმდეგო და ძალადობრივი ხასიათი, რამაც საფრთხე შეუქმნა როგორც საზოგადოებრივ წესრიგს, ისე კონკრეტულ პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

მიგვაჩნია, რომ 17 მაისს გამოვლენილი მასობრივი ძალადობის ფაქტებზე მნიშვნელოვანი იყო ეფექტური გამოძიების ჩატარების უზრუნველყოფა და ყველა სამართალდამრღვევი პირის,

განსაკუთრებით კი ორგანიზატორების, გამოვლენა და სათანადო დასჯა. ოთხი პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობა, ასევე ორი სასულიერო პირისა და ორი მოქალაქისთვის ბრალის წაყენება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეფასდა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული, მაგრამ ცალსახად არასაკმარისი ნაბიჯების გადადგმად სამართალდამრღვევ პირთა პასუხისმგებლობის დაყენების კუთხით. თუმცა, მიუხედავად პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარისა და რამდენიმე პოლიტიკოსის განცხადებისა იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოს მხრიდან მომხდარს ადეკვატური რეაგირება უნდა მოჰყვეს, სამწუხაროდ სახელმწიფოს როლი აღნიშნულ ინციდენტზე მხოლოდ ზემოთ ხსენებული რეაგირებით შემოიფარგლა.

სახელმწიფოს მიერ დამნაშავე პირების დასჯას საზოგადოებაში გავრცელებული ძალადობის ფაქტების აღსაკვეთად უპირველესად პრევენციული ფუნქცია აქვს. მომხდარის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება კი ქმნის საფრთხეს, რომ ამგვარმა მასობრივმა, ძალადობრივმა ქცევამ განვრცობითი და განგრძობადი ხასიათი მიიღოს და უკიდურესად მძიმე ფორმებით გამოვლინდეს. 17 მაისის შემდეგ ლგბტ თემის წარმომადგენლებისა და განსხვავებული ჩაცმულობის პირთა მიმართ დაფიქსირებული ძალადობისა და შეურაცხყოფის ფაქტები აღნიშნულ საფრთხეების რეალურობას ცხადყოფს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე თავად იქცა ჰომოფობიის და ტრანსფობიის დემონსტრირების დღედ.

## **8. რელიგიური შეუწყნარებლობა**

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დადგენილია რელიგიის თავისუფლება და აკრძალულია პირთა დევნა აღმსარებლობის გამო. რწმენის თავისუფლება თავის თავში მოიაზრებს პირის უფლებას, ამა თუ იმ რელიგიური მრწამსის გაზიარებას, უარყოფას ან შეცვლას სახელმწიფოსაგან ჩარევის გარეშე. ასეთ დროს სახელმწიფოს მხრიდან არ უნდა ხორციელდებოდეს ისეთი სახის ღონისძიება, რომელიც პირს იძულებით უარს ათქმევინებს კონკრეტულ რწმენაზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებული სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, რომ არ მოახდინოს ინტერვენცია ამ უფლების დაცულ სფეროში, არამედ აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყოს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების დაცვა და ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა ყველა პირისთვის.<sup>51</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რწმენის თავისუფლება ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ავტონომიის საყრდენად მიიჩნია.<sup>52</sup> სწორედ ეს უფლება განაპირობებს საზოგადოების დემოკრატიულობის ხარისხს, რადგან რელიგიური პლურალიზმი არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოებისათვის. რწმენის თავისუფლება გულისხმობს

<sup>51</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე :

[http://www.legalportal.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=56](http://www.legalportal.ge/index.php?option=com_content&view=article&id=56)

<sup>52</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.7;

ადამიანის შესაძლებლობას დამოუკიდებლად, თავის შეხედულებებისამებრ განსაზღვროს საკუთარი რელიგიური მრწამსი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას რელიგიური წესის აღსრულებაში ხელის შეშლისთვის: „ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.“ რელიგიური წესის აღსრულების კრიმინალიზაციით სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, რომ მოეხდინა ამგვარი ქმედებების პრევენცია და კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ინტერვენცია. თუმცა 2012 წლის 2 ნოემბრის ნიგვზიანისა და 2012 წლის დეკემბრის წინწყაროს ინციდენტების დროს სახელმწიფომ ვერ შეძლო ეფექტურად შეესრულებინა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, რასაც შედეგად მოჰყვა რელიგიურ ნიადაგზე კიდევ ერთი დაპირისპირება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში.

2012 წლის 2 ნოემბერს სოფელ ნიგვზიანში დაპირისპირება მოხდა მუსლიმ და მართლმადიდებელ მოსახლეობას შორის, რისი მიზეზიც ერთ-ერთი კერძო პირის საცხოვრებელ სახლში მუსლიმური სამლოცველოს მოწყობა იყო. სოფლის მოსახლეობის ნაწილმა აღნიშნული მიიჩნია მათი ინტერესების შელახვად და 2 ნოემბერს საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მთავარ მუფტსა და რამდენიმე პირს საშუალება არ მისცეს მონაწილეობა მიეღოთ რელიგიურ რიტუალში, რომელიც სალოცავში იმართებოდა.<sup>53</sup> მსგავს ნიადაგზე წარმოქმნილ ინციდენტს 2012 წლის დეკემბერში ადგილი ჰქონდა სოფელ წინწყაროში.<sup>54</sup>

ორივე ინციდენტის დროს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ უმცირესობის, მუსლიმი მოსახლეობის, მიმართ გაისმოდა მუქარა და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მართლმადიდებელი მოსახლეობა საკუთარ მოქმედებებს ძირითადად ამართლებდა არგუმენტით, რომ მუსლიმური რელიგია მიუღებელი და დაუშვებელია საქართველოში.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ სრულად აცნობიერებს უდანაშაულობის პრეზუმფციის მნიშვნელობას, თუმცა იმავდროულად აღნიშნავს, რომ სოფელ ნიგვზიანსა და წინწყაროში მომხდარი ფაქტები შეიცავდნენ რელიგიური წესის აღსრულებისათვის ხელის შეშლის ნიშნებს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში თვალნათელი იყო მუსლიმი მოსახლეობის უფლებების დარღვევა, სახელმწიფომ არ შეასრულა საკუთარი პოზიტიური ვალდებულება და მან მხოლოდ მედიატორის როლი იტვირთა. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მხარეთა დიალოგს დაუჭირა მხარი, ხოლო სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქცევა ხსენებულ სიტუაციებში მხოლოდ გამშველელის როლით შემოიფარგლებოდა.

<sup>53</sup> ინფრომაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://news.ge/ge/news/story/35912-nigvzianshi-martlmadideblebi-musulmaneb-samlotsveloshi-ar-ushveben> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>54</sup> ინფრომაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://news.ge/ge/news/story/38636-tsintsyaro-shi-muslimebis-lotsva-politsiis-datsvis-qvesh-chatarda> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].



სამთაწყაროში ადგილობრივ ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის პირველი დაპირისპირება 24 მაისს მოხდა, როდესაც სალოცავად შეკრებილ მუსლიმურ თემს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, რიტუალისთვის აუცილებელი ნივთები შენობიდან თვითნებურად გაიტანეს და აიძულეს თავადაც დაეტოვებინათ სამლოცველო. აღნიშნულ მოვლენებს შემთხვევის ადგილზე ესწრებოდნენ ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები, რომლებსაც შექმნილი ვითარების დარეგულირებისთვის ადეკვატური ზომები არ მიუღიათ. 31 მაისს, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სამთაწყაროში, სადაც ადგილობრივ მუსლიმებს კვლავ არ მიეცათ პარასკევის ტრადიციული ლოცვის (ჯუმას) ერთობლივად აღვლენის შესაძლებლობა. სოფლის შესასვლელში ადგილობრივმა ქრისტიანმა მოსახლეობამ გზა გადაკეტა და ლოცვის დასასწრებად მიმავალ მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებს, ქვემო ქართლის მუფტს და მის თანმხლებ პირებს, არ მისცეს სოფელში შესვლის შესაძლებლობა. ასევე აღსანიშნავია, რომ დაპირისპირებისას ქვემო ქართლის რეგიონის მუფტს, ჯემალ ადაძეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. აღნიშნული მოვლენების მიმდინარეობისას სოფლის შესასვლელში ადგილზე მობილიზებულმა პოლიციამ ვერ უზრუნველყო მუსლიმების გადაადგილებისა და რელიგიის თავისუფლების დაცვა. 7 ივნისს სამთაწყაროში მუსლიმებს კვლავ არ მიეცათ ტრადიციული პარასკევის ლოცვის (ჯუმას) ჩატარების საშუალება. დღისით, მუსლიმთა ადგილობრივი წინამძღოლი სულიკო ხოზრევანიძე საკუთარი სახლიდან სამართალდამცავებმა 12:30 საათისთვის წაიყვანეს და იგი მუსლიმთა სამლოცველოსთან 14:00 საათისთვის მიიყვანეს, როდესაც მუსლიმთა ტრადიციული ლოცვა უნდა ჩატარებულიყო.<sup>55</sup> ინციდენტის დროს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მხრიდან უმცირესობის, მუსლიმი მოსახლეობის, წარმომადგენლების მიმართ გაისმოდა მუქარა და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მომდევნო პარასკევს (14 ივნისს) მუსლიმთა სამმართველოს მიერ ნაყიდ შენობაში მუსლიმებმა უკვე შეძლეს ლოცვის ჩატარება, თუმცა არ ულოციათ თავად ადგილობრივებს. 14 ივნისვე სამთაწყაროს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - პაატა ზაქარაიძევილი ესტუმრა. მუსლიმებმა ლოცვის აღვლენა სალოცავ სახლში შეძლეს მომდევნო პარასკევსაც (21 ივნისს), თუმცა ამ შემთხვევაშიც ადგილობრივ მუსლიმებს არ ულოციათ.

სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულ კონფლიქტურ ფაქტებში მონაწილე სამართალდამრღვევი პირებისათვის სათანადო რეაგირების განუხორციელებლობამ კიდევ უფრო წახალისა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ადგილობრივ მუსლიმთა მიმართ აგრესიულობით გამოირჩევა. 2013 წლის 28 ივნისს 200-მდე ადამიანი შეიჭრა სულიკო ხოზრევანიძის საცხოვრებელში და მასზე და მისი ოჯახის წევრებზე მუქარა და ძალადობა განახორციელა. მომხდარ ინციდენტში პოლიცია კვლავ შუამავლის ფუნქციით შემოიფარგლა, არ მოუხდენია სამართალდამრღვევ პირთა დაკავება და პასუხისგებაში მიცემა. ადეკვატური რეაგირების განუხორციელებლობა კი ფაქტობრივად იწვევს სულიკო ხოზრევანიძის და მისი ოჯახის წევრების დაუცველობას აგრესიული მოსახლეობის წინაშე, რაც ყოველდღიურად მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. ინციდენტში მონაწილე პირთა მხრიდან ჩადენილი ქმედებები შეიცავდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს, რომელიც რელიგიურად იყო მოტივირებული. 2013 წლის 28 ივნისის

<sup>55</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე : <http://live.ge/video-88443>

ინციდენტის შემდეგ სოფლის ადგილობრივმა წინამძღოლმა, სულიკო ხოზრევანიძემ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სოფელი დატოვა და დროებით აჭარაში გადავიდა. მას შემდეგ სოფელ სამთაწყაროში პარასკევის ტრადიციული ლოცვა (ჯუმა) აღარ ჩატარებულა.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ მიიჩნევს, რომ 3 კვირის განმავლობაში ტრადიციული ლოცვის (ჯუმას) სალოცავ სახლში გამართვისათვის ხელის შეშლა არის კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებული რელიგიის თავისუფლების დარღვევა. რელიგიის თავისუფლების ეფექტური რეალიზაცია არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებით სარგებლობაში ჩაურევლობით, არამედ პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფო ორგანოებისგან საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, რათა უფლების დარღვევის საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული. სოფლის შესასვლელში პოლიციის უმოქმედობა კი წარმოადგენდა ძალადობისა და შეუწყნარებლობის წახალისებას ხელისუფლების მხრიდან. ამ პროცესებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და პოლიციის ქცევის ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი თავს კონფლიქტის მხარედ აღიქვამდნენ და საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების დროს არ იცავდნენ რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპს. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს ამგვარი პასიური მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის მის პოზიტიურ ვალდებულებასთან – უზრუნველყოს რელიგიური უმცირესობის უფლებების ეფექტური დაცვა. ბოლო პერიოდში დაფიქსირებული რელიგიური კონფლიქტების (სოფელი ნიგვზიანი, სოფელი წინწყარო) დინამიკა აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან პროცესებში ჩაურევლობა რელიგიური შეუწყნარებლობის წახალისებას ახდენს და სეკულარიზმის იდეას ეწინააღმდეგება.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ 2013 წლის 14 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში მომხდარ ინციდენტზე, როდესაც დაზარალებულთა ახსნა-განმარტების თანახმად, სენაკის სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა რელიგიურ ნიადაგზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ადგილობრივ მოსახლეობას.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ციხისძირში მცხოვრები რამდენიმე მოქალაქე სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს, გაჩხრიკეს და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები მოსთხოვეს.<sup>56</sup> ერთ-ერთი მოქალაქე იხსენებს, რომ მას სამხედროებმა ყელზე იარაღი მიადეს და დაემუქრნენ, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ის ქრისტიანი არ იქნებოდა. ახსნა-განმარტებიდან იკვეთება, რომ სამხედრო პირები იარაღის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ აღნიშნული სოფლის მკვიდრთ, უწოდებდნენ „თათრებს“ და მათგან ჯვრის ჩვენებას ითხოვდნენ. აღნიშნული პირების მიერ გადმოცემული ინფორმაციის მიხედვით, სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან საკუთარი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით მოქალაქეებისათვის რელიგიური ნიშნით შეურაცხყოფის მიყენებას ჰქონდა ადგილი. სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა ეს ქმედება წინააღმდეგობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და სამხედრო მოსამსახურის უფლება-ვალდებულებებთან. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტზე მოახდინა

<sup>56</sup> იხ. <http://www.youtube.com/watch?v=Ue0kW5CITM8&feature=share>

დროული რეაგირება, ინციდენტში მონაწილე სამი სამხედრო პირი გაათავისუფლა სამხედრო პოლიციის სამსახურიდან და დაიწყო მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

აღნიშნულ შემთხვევაში იკვეთება მოქალაქეებისათვის რელიგიური ნიშნით შეურაცხყოფის მიყენება, რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლების დარღვევაა. ამ სახის დანაშაულების პრევენციისათვის აუცილებელია დამნაშავე პირების სათანადო დასჯა. პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული განცხადებით გამოძიება მიმდინარეობს ხულიგნობის<sup>57</sup> და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით.<sup>58</sup> დაზარალებულის ჩვენებებიდან ცალსახად იკვეთება, რომ სამხედრო მოსამსახურეთა მხრიდან ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს რელიგიური ნიშნით. შესაბამისად, საგამოძიებო სამსახურს არ უნდა გამოერიცხა რელიგიური შეუწყნარებლობის გამო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის<sup>59</sup>, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის<sup>60</sup>, ძალადობისათვის<sup>61</sup> და ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის<sup>62</sup> - ბრალის წაყენება. იმის გამო, რომ რელიგიის თავისუფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, აღნიშნულ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია.

რელიგიური ჯგუფების მიმართ გახშირებული დაპირისპირებების გამო სახეზეა საზოგადოების სისტემური პრობლემა, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების განხორციელების საჭიროებაზე. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ჩადენის საფუძვლად იკვეთება რელიგიური შეუწყნარებლობა, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულისათვის. რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლინებათა პრევენციისათვის მოცემულ შემთხვევაში საჭირო იყო სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის დევნას აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში მომხდარ ინციდენტში მონაწილე სამხედრო პოლიციის თანამშრომელს 15000-ლარიანი გირაო, ხოლო მიმალვაში მყოფ ონისე ხუბულავას პატიმრობა შეუფარდეს. შუამდგომლობის დაკმაყოფილების ერთადერთ არგუმენტად კი წარმოდგენილი იყო ის, რომ აღნიშნული პირები ორჯერვე გამოცხადდნენ საგამოძიებო ორგანოში.

<sup>57</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილით

<sup>58</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები

<sup>59</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი

<sup>60</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლი

<sup>61</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი

<sup>62</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი

## 9. ზეწოლა ადგილობრივ თვითმმართველობებზე

საქართველოს კონსტიტუციის 101<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას.

საქართველოს კონსტიტუციის 101<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. 101<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

ზემოაღნიშნული დებულებები ნათლად ადასტურებს ადგილობრივი თვითმმართველობის და ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუციურ გამიჯვნას და მათ ურთიერთდამოუკიდებლობას. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები აირჩევიან ცალ-ცალკე და ერთი მათგანის ცვლილება არ უნდა ახდენდეს გავლენას მეორეზე.

იმავედროულად აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის მიხედვით დასჯადია პირის იძულება, დაწეროს განცხადება საკუთარი ინიციატივით სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე.

2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ახალი პოლიტიკური ძალის გამარჯვებას მოჰყვა საკმაოდ შემაშფოთებელი პროცესების განვითარება ადგილობრივ თვითმმართველობებში: განხორციელდა თვითმმართველობაში დასაქმებულ პირთა მასობრივი გათავისუფლება. რამდენიმე თვითმმართველ ერთეულში ახლად დანიშნული გამგებელი პირდაპირ ახდენდა მოხელეთა სამსახურებიდან გათავისუფლებას დასაბუთების გარეშე.<sup>63</sup> ეს პროცესი შეეხო ყველა დონის მოხელეს და უმრავლეს შემთხვევაში მათი გათავისუფლების მიზეზად სწორედ პოლიტიკური მოტივები სახელდებოდა. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ არაერთ პირს მოუწია განცხადების დაწერა და სამსახურის დატოვება მათზე განხორციელებული იძულების გამო.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED) 2013 წლის 22 აპრილს გამოაქვეყნა მონიტორინგის ანგარიში, სადაც წარმოდგენილია ძირითადი სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენმა პირმა დატოვა დაკავებული თანამდებობა ადგილობრივ თვითმმართველობებში.<sup>64</sup> მონაცემების მიხედვით ადგილობრივ თვითმმართველობებში 50 გამგებელს შეუწყდა შრომითი ურთიერთობა, მათგან 48 შემთხვევაში

<sup>63</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://netgazeti.ge/GE/105/News/15587/> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 13 მაისს].

<sup>64</sup> ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://www.isfed.ge/pdf/2013-04-22.pdf> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 13 მაისს]

პირადი განცხადების საფუძველზე. იმავდროულად შეიცვალა სხვადასხვა თვითმმართველი ერთეულის 25 საკრებულოს თავმჯდომარე. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მონაცემებით 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 28 თებერვლამდე საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან ჯამურად გათავისუფლდა 1877 თანამშრომელი. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ ასევე გასაჯაროვდა ფაქტები, პირადი განცხადების საფუძველზე კონკრეტული საჯარო მოხელეების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დეკრეტული შვებულების პერიოდში.<sup>65</sup>

საქართველოს სახალხო დამცველმა თავის ყოველწლიურ ანგარიშში თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესის შესახებ აღნიშნა, რომ: „2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თვითმმართველობებში გამგებლებისა და მოადგილეების შეცვლის შემდეგ, თვითმმართველობების თანამშრომლები პირადი განცხადებებით, მასობრივად ტოვებდნენ სამუშაო ადგილებს. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ პროცესი არ იყო ჯანსაღი და პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს უკავშირდებოდა.“<sup>66</sup>

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საჯარო გამოსვლაში დაადასტურა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესებში „ხშირად ჩარევის უზადრუკი შემთხვევები იყო“.<sup>67</sup> მსგავსი ჩარევის მართებულობაზე საჯარო გამოსვლებში ხშირად მიუთითებდა მმართველი კოალიციის ზოგიერთი ლიდერი.

აღნიშნული პროცესი ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კონსტიტუციური საფუძვლების არსებობის მიუხედავად თვითმმართველობები მაინც ექცევიან ცენტრალური ხელისუფლების აშკარა გავლენის ქვეშ, ხოლო საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ ამ პროცესის წახალისება და გარკვეულ შემთხვევაში მისი ინსპირირება კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობის პრინციპს და აზრკოლებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

## 10. საჯარო სამსახურიდან პირთა გათავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კონსტიტუციის 29-ე მუხლი მოითხოვს, რომ ყველა პირს ჰქონდეს თანაბარი წვდომა საჯარო სამსახურზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.<sup>68</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 29-ე მუხლს ავრცელებს საჯარო სამსახურიდან პირთა

<sup>65</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://gyla.ge/geo/news?info=1398> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 13 მაისს]

<sup>66</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ (2012 წელი), გვ 414. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/iicsizmorgdfkakhkdqvc.pdf> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 13 მაისს]

<sup>67</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=39980> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 13 მაისს]

<sup>68</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის #2/33/1 განჩინება საქმეზე: „ნინო ოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“

არაჯეროვანი საფუძვლით გათავისუფლების შემთხვევებზე და ამ გზით დაცულ სფეროში აქცევს პირის უფლებას ეკავოს საჯარო თანამდებობა და დაცული იყოს უკანონოდ გათავისუფლებისაგან.<sup>69</sup> გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია გამოხატვის თავისუფლების გარანტია, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს იმასაც, რომ არ უნდა მოხდეს პირთა გათავისუფლება პოლიტიკური შეხედულებების გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც საჯარო მოხელეთა მიმართ ავრცელებს ევროკონვენციის მე-10 მუხლის მოქმედებას და საჯარო სამსახურში მხოლოდ იმ პირთა მიმართ იძლევა შეზღუდვის გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც პოლიტიკურ თანამდებობაზე არიან ან რომლებსაც სამსახურებრივი რანგიდან გამომდინარე მოეთხოვებათ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.<sup>70</sup>

ჩვენი ყურადღება საანგარიშო პერიოდში გამოკვეთილმა რამდენიმე ტენდენციამ მიიქცია. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პირთა თანამდებობაზე დანიშვნა კონკურსის გარეშე მოხდა.<sup>71</sup> მიგვაჩნია, რომ კონკურსის ჩატარების იდეა იმანენტურად არის ნაგულისხმევი საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლში და შესაბამისად ნებისმიერ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულ პირთა კონკურსის გარეშე დანიშვნა ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელს. 2013 წლის პირველ ნახევარში გამოვლინდა მოხელეთა სამსახურებიდან გათავისუფლების მასობრივი შემთხვევები. სხვადასხვა მონაცემებით აღნიშნულმა რიცხვმა რამდენიმე ათასს მიაღწია.<sup>72</sup>

2013 წლის პირველ ოქტომბერს ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის შემდეგ საჯარო მოხელეთა მასობრივი გათავისუფლება საზოგადოების ნაწილში აჩენს პოლიტიკური მოტივაციით პირთა გათავისუფლების ეჭვს. რამდენიმე შემთხვევაში გარკვეული მოხელები პოლიტიკურ მოტივაციაზე პირდაპირ უთითებენ, რაც არსებულ ეჭვს საფუძვლიანობას სძენს.<sup>73</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, მოხელეთა მიმართ მსგავსი დამოკიდებულება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლთან. იმავდროულად, ნებისმიერმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ყოველთვის არსებობს საჯარო მოხელეთა კატეგორია, რომელიც არ ექვემდებარება ცვლილებას პოლიტიკური ცვლის პარალელურად. პოლიტიკური ლოიალობა ან/და ნეიტრალიტეტი მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის მოხელეთა ვალდებულებაა და დანარჩენ შემთხვევაში თანამდებობის პირებს აქვთ გამოხატვის სრული თავისუფლება, რაც პოლიტიკური

<sup>69</sup> mutatis mutandis, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/3/250-269 გადაწყვეტილება საქმეზე: „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>70</sup> inter alia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 2 სექტემბრის განჩინება საქმეზე: Ahmed and Others v. UK.

<sup>71</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდებზე:

< [http://www.youtube.com/watch?feature=player\\_embedded&v=xVdsFUoBf5o#at=66](http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=xVdsFUoBf5o#at=66) >

< [http://opendatablog.wordpress.com/2013/01/17/samsaxuridan\\_migeba\\_gatavisuflebis\\_praqtik/](http://opendatablog.wordpress.com/2013/01/17/samsaxuridan_migeba_gatavisuflebis_praqtik/) >

[ბოლოს ნანახია 2013 წლის 11 მაისს]

<sup>72</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://www.imesi.ge/index.php?pg=news&id=1704> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 11 მაისს]

<sup>73</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://www.liberali.ge/ge/liberali/news/113999/> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 11 მაისს]

შეხედულებების არსებობასა და მათ თავისუფალ გამოხატვასაც გულისხმობს. აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მოახდინოს ამ პრინციპის სრული პატივისცემა.

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა ასევე თანამშრომლის გათავისუფლებას საჯარო დაწესებულებიდან, რომელზეც არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს გათავისუფლება უკავშირდებოდა თანამშრომლის მიერ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების დიად გამოხატვას. კერძოდ, 2013 წლის 18 მარტს საჯარო რეესტრის იურიდიული დეპარტამენტის 3 თანამშრომელი (მ.ბ., მ.ნ. და ი.ა.) სამსახურიდან იქნენ გათავისუფლებულნი. იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, 17 თებერვალს მ.ბ.-ს იუსტიციის მინისტრმა პირადად გაუგზავნა გაფრთხილების წერილი, შეეწყვიტა საჯარო რეესტრის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება და გამოეჩინა მისი თანამდებობისთვის აუცილებელი თავშეკავება და კორექტულობა, რაც არ იქნა გათვალისწინებული მ.ბ.-ს მიერ.

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, ანალოგიური პრეტენზიები არსებობდა დანარჩენი ორი თანამშრომლის მიმართ. გარდა ამისა, ბატონმა დავით ჯანდიერმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად იუსტიციის მინისტრი არ დაეთანხმა დანარჩენი ორი თანამშრომლის გათავისუფლებას. თუმცა, მას შემდეგ, რაც ისინი საჯარო რეესტრის მუშაობის პარალიზებას შეეცადნენ და თანამშრომლებს გაფიცვისკენ მოუწოდეს, იუსტიციის მინისტრმა აზრი შეიცვალა<sup>74</sup>

აღნიშნულ განცხადების მიუხედავად, როგორც მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაცია ცხადყოფს, ხსენებული პირების სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად შესაბამის აქტში მითითებულ იქნა არა მათ მიერ დისციპლინური სამართალდარღვევის ჩადენა, არამედ შრომის კოდექსის 37-ე მუხლი, რომელიც დამსაქმებელს უფლებას ანიჭებს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა საჯარო რეესტრის თანამშრომლებს არ უზღუდავს საკუთარი პოლიტიკური შეხედულების ქონისა და გამოხატვის უფლებას. იმავდროულად საქართველოს კანონმდებლობით, ხსენებულ პირებს სრული უფლება ჰქონდათ მოეწოდებინათ საკუთარი თანამშრომლებისათვის გაფიცულიყვნენ. შესაბამისად, მინისტრის პირველი მოადგილის არგუმენტაცია წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან. უფრო მეტიც, მინისტრსა და მის პირველ მოადგილეს საერთოდ არ გააჩნიათ უფლებამოსილება ჩარეულიყვნენ მ.ნ.-ს მიმართ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესში და ამ საკითხის გადაწყვეტა სსიპ-ის ხელმძღვანელის ერთპიროვნული კომპეტენციაა<sup>75</sup>.

<sup>74</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://news.ge/ge/news/story/49167-sajaro-reestris-reputatsiistvis-zianis-miyenebisatvis-3-tanamshromeli-gaatavisufles> [ბოლოს ნანახია 2013 წლის 22 მაისს].

<sup>75</sup> დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://gyla.ge/geo/news?info=1464> [ბოლოს ნანახია 2013 წლის 22 მაისს].



აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამინისტროს მიერ ხსენებული პირების გათავისუფლება მოხდა საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ იმ ნორმის საფუძველზე, რომელსაც თავად სამინისტრო მიიჩნევდა დასაქმებულის უფლებების დამრღვევ ნორმად და აღნიშნული მუხლის შეცვლის მოთხოვნით სამინისტროს ავტორობით მომზადებული კანონპროექტი წარდგენილი იყო საქართველოს პარლამენტში განსახილველად.

## 11. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება

საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ იქნა ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მიზნად ისახავდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სადისციპლინო კოლეგიის რეფორმირებას. შემოთავაზებული ცვლილებები ნამდვილად პოზიტიური ნაბიჯი იყო და მიზნად ისახავდა სასამართლო სისტემის გაჯანსაღებას და უფრო მეტი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.<sup>76</sup> მაგრამ იმავდროულად კანონპროექტი ადგენდა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოქმედ შემადგენლობას უწყდებოდა უფლებამოსილება კანონის ამოქმედების მომენტისთვის. აღნიშნულ კანონპროექტზე ვენეციის კომისიამ წარმოადგინა თავისი მოსაზრება 2013 წლის 13 მარტს, რის შემდეგაც საქართველოს პარლამენტმა გარკვეული მოდიფიცირებით დაამტკიცა კანონპროექტი სამივე მოსმენით, თუმცა საქართველოს პრეზიდენტმა მოტივირებული შენიშვნებით იგი უკან დაუბრუნა პარლამენტს.<sup>77</sup> საქართველოს პარლამენტმა დაძლია საქართველოს პრეზიდენტის ვეტო და კანონპროექტი ხელმოსაწერად გადაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონპროექტს ხელი არ მოაწერა, რის შემდეგაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განახორციელა კანონის პრომულგაცია საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>78</sup>

საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის პირველ მაისს მიღებული ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ რამდენიმე ახალ დებულებას შეიცავს, რომელთა ნაწილიც, უდავოდ, პოზიტიურია. მაგრამ იმავდროულად გვსურს ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე პრობლემურ საკითხზე, რომელიც დაფიქსირდა ამ პროცესში.

2013 წლის პირველი მაისის კანონით გათვალისწინებული ცვლილებები შემდეგი შინაარსის შემცველნი არიან: იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების მიერ არჩეული 9 და საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული 6 წევრისგან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წარმოადგენს ex officio წევრს საბჭოში. დანარჩენი 8 წევრის არჩევა ხდება მხოლოდ მოსამართლეთა კონფერენციის მიერ (ადმინისტრაციულ

<sup>76</sup> კანონპროექტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

< [http://www.parliament.ge/files/Draft\\_Bills/18.12.12/saerto\\_sasamartloebi-2.7.pdf](http://www.parliament.ge/files/Draft_Bills/18.12.12/saerto_sasamartloebi-2.7.pdf) > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 23 მაისს].

<sup>77</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < [http://www.parliament.ge/files/Draft\\_Bills/30.04.13/1.49.pdf](http://www.parliament.ge/files/Draft_Bills/30.04.13/1.49.pdf) > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 23 მაისს].

<sup>78</sup> 2013 წლის 1 მაისის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

< [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1924526#](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1924526#) > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 23 მაისს].



კომიტეტს აღარ აქვს უფლებამოსილება დანიშნოს საბჭოს წევრები). საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევა ხდება მოსამართლეთა კონფერენციის ორი მესამედის მიერ ფარული კენჭისყრით. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის წევრი ან რომელიმე სასამართლოს თავმჯდომარე. ასეთი წევრი ასევე არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან მოადგილე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს თანამდებობა მას თანამდებობრივად უკავია კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარეობის გამო. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთაგან სამზე მეტი არ შეიძლება იყოს კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე. იმავდროულად ცვლილება შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევ კანდიდატებთან მიმართებით და მათ მიმართ განისაზღვრა შესაბამისი ცენზი - უმაღლეს დაწესებულებაში მოღვაწეობა ან მკვლევარობა. ასევე აუცილებელია პირს ჰქონდეს პროფესიით მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება, მაღალი რეპუტაცია და იყოს სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი. ამ კვოტის ფარგლებში დაუშვებელია პარლამენტის წევრის, მოსამართლის და პროკურორის კანდიდატად წარდგენა. საქართველოს პარლამენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს ირჩევს სრული შემადგენლობის 2/3-ით. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, პარლამენტის პლენარული სხდომისთვის წარდგენილ კანდიდატებს კენჭი ცალ-ცალკე ეყრებათ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეული კანდიდატები გამოვლინდებიან საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ყველა ვაკანსია ვერ შეივსო, კენჭისყრის მომდევნო ტურებში არჩეული კანდიდატი გამოვლინდება საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ამასთანავე, ასეთი კვორუმით არჩეულ წევრთა რაოდენობა ოთხს არ უნდა აღემატებოდეს.

ზემოაღნიშნული ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეუწყდება საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ წევრებს, აგრეთვე იმ მოსამართლე წევრებს, რომელთაც უკავიათ ან ბოლო 1 წლის განმავლობაში ეკავათ სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა ან/და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არჩეული იყვნენ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ. საბჭოს მოქმედ მოსამართლე წევრებს, რომლებსაც ამ ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ უწყდებათ უფლებამოსილება, ეძლევათ შესაძლებლობა არჩეულ იქნენ თანამდებობაზე ამ ახალი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ანალოგიური სახის რეფორმა განხორციელდა სადისციპლინო კოლეგიის მიმართ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2013 წლის პირველი მაისის კანონით.<sup>79</sup> შეიცვალა საბჭოს დაკომპლექტების წესი დამატებითი ცენზის ინკორპორაციის გზით და საბჭოს მოქმედ შემადგენლობას შეუწყდა უფლებამოსილება.

ვენეციის კომისიამ 2013 წლის 11 მარტს გამოაქვეყნა მოხსენება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით.<sup>80</sup> მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტი დაელოდა ამ დასკვნას და მანამდე არ მიიღო კანონი და იმავდროულად გაიზიარა გარკვეული სახის შენიშვნები და რეკომენდაციები. მაგალითად, კანონპროექტიდან ამოღებულ იქნა ის დებულება, რომლითაც აკრძალული იყო საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თავმჯდომარეების ან პალატის თავმჯდომარეების საბჭოში წარმოდგენა და განსაზღვრა მინიმალური კვოტა რეკომენდაციის შესაბამისად;<sup>81</sup> ამასთანავე, საპარლამენტო უმცირესობას საბჭოს წევრის არჩევის პროცესზე გარკვეული ზემოქმედების შესაძლებლობა მიეცა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ არ იქნა გაზიარებული ვენეციის კომისიის მთავარი შენიშვნა, რომელიც შეეხებოდა საბჭოს მოქმედი შემადგენლობის დაშლას.

ვენეციის კომისიამ პირდაპირ აღნიშნა, რომ ზოგადად იუსტიციის საბჭოების მნიშვნელოვანი ფუნქციაა მოსამართლეების დაცვა პოლიტიკური ზეგავლენისაგან. სწორედ აღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე, არამართებულად იქნა მიჩნეული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის სრული განახლების დაშვება.<sup>82</sup> იმავდროულად კომისიამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავდა ექსპლიციტურ საფუძველს, რომლის მიხედვითაც საბჭოს შესახებ კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევაში შესაძლებელი იყო საბჭოს შემადგენლობის გადახედვა.<sup>83</sup> დამატებით აღინიშნა შემდეგი:

„71. ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ სასამართლო სისტემის სამომავლო ორგანიზაციის წესისა და საქმიანობის საკითხების შემუშავებისათვის საკანონმდებლო უფლებამოსილების გამოყენებისას პარლამენტმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისგან, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უწყვეტობას.

72. საბჭოს ყველა წევრის ვადამდელი გათავისუფლება შექმნის პრეცედენტს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ახალ მთავრობასა თუ ახალ პარლამენტს, რომელიც მხარს არ უჭერს საბჭოს შემადგენლობასა თუ წევრებს, შეეძლება მისი ვადამდელი დათხოვნა და ახალი საბჭოთი ჩანაცვლება...“

---

<sup>79</sup> 2013 წლის 1 მაისის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1922274](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1922274) > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 23 მაისს].

<sup>80</sup> CDL-AD(2013)007. ვენეციის კომისიის აღნიშნული მოხსენების ქართულენოვანი თარგმანი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://gdi.ge/?p=176> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 23 მაისს].

<sup>81</sup> პარ. 49.

<sup>82</sup> პარ. 69.

<sup>83</sup> პარ. 70.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ სრულად იზიარებს იმ რისკებს, რომელიც წარმოჩენილი იქნა ვენეციის კომისიის მიერ. იმ პირობებში, როცა საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავს რაიმე გარანტიას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებასთან ან ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით, ყოველი ახალი ხელისუფლების მიერ შეიძლება განხორციელდეს ამგვარი ცვლილებები. სასამართლო სისტემის გაჯანსაღება და გაუმჯობესება არ არის სტატიკური პროცესი და მუდმივად შეიძლება ამ სისტემის დახვეწა. ნებისმიერმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ შეიძლება მოახდინოს სასამართლო ხელისუფლების გაუმჯობესების მოტივით ახალი ცენზების შემოტანა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლიდან ფორმირების მიზნით ან შეცვალოს სხვა არსებული რეგულაციები. შედეგად მივიღებთ სიტუაციას, როცა სასამართლო ხელისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს პოლიტიკური სიტუაციის პარალელურად. აღნიშნული გაუმართლებელი და დაუშვებელია. ხელისუფლების ამ შტოს თავისებურება არის ის, რომ იგი პროფესიული ნიშნით კომპლექტდება ფიქსირებული ვადით, რაც მის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. ამ მიმართებით ვენეციის კომისიამაც პირდაპირ განაცხადა, რომ:

„73... კანონის უზენაესობასთან შესაბამისობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კანონის პირდაპირი და ფორმალური დებულებებისა და კონსტიტუციის იმპლემენტაციით. ის ასევე მოიცავს კონსტიტუციურ ქცევასა და პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს ყველა საკონსტიტუციო ორგანოს ფორმალურ წესებთან შესაბამისობაში ყოფნას და მათ შორის ურთიერთპატივისცემის განვითარებას.“

ვენეციის კომისიამ გარკვეული კომპრომისული ვარიანტებიც შესთავაზა საქართველოს პარლამენტს, რომლებიც მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ საბჭოს მთლიანი შემადგენლობისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ნაცვლად:<sup>84</sup>

1) საბჭოს იმ მოსამართლე წევრებს, რომლებიც არიან იმავდროულად სასამართლო თავმჯდომარეები, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა აირჩიონ ამ ორ თანამდებობას შორის ერთ–ერთი ან;

2) საბჭოს იმ მოსამართლეებს, რომლებიც არიან ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ დანიშნულები, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა წარედგინოთ შესაბამის მოსამართლეთა კონფერენციას, რათა მათი დანიშვნის რატიფიცირება მოხდეს ამ უკანასკნელის მეშვეობით.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ საქართველოს პარლამენტმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საბჭოს მოქმედი შემადგენლობა მთლიანად დაიშალა. იქიდან გამომდინარე, რომ მოქმედ შემადგენლობაში სასამართლო ხელისუფლების კვოტით არჩეული თითქმის ყველა წევრი არის რომელიმე სასამართლოს ან პალატის/კოლეგიის თავმჯდომარე, შეუძლებელი ხდება ყველა მათგანის ხელახალი არჩევა, რადგან მხოლოდ სამი მათგანი შეიძლება იქნეს წარმოდგენილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, შესაბამისი შემზღვეველი დებულების არსებობიდან გამომდინარე, რომელიც კრძალავს სამზე მეტი მოსამართლის დანიშვნის შესაძლებლობას სასამართლოთა/პალატების თავმჯდომარეთა რიგებიდან. მართალია, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65–ე მუხლის მე-3 პუნქტის დღეს არსებული რედაქციით შეიძლება ზემოაღნიშნული პირები კვლავ იქნენ არჩეულნი საბჭოს წევრებად და შემდგომ უარი თქვან სასამართლოს თავმჯდომარის

<sup>84</sup> პარ. 74.

პოზიციაზე, მაგრამ ეს პრობლემას მაინც არ ხსნის. ვენეციის კომისიის მიერ შემოთავაზებული ზემოაღნიშნული ალტერნატივის სისტემური ახსნა-განმარტება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოს მოქმედი შემადგენლობა უპირველესად უნდა წარდგენოდა მოსამართლეთა კონფერენციას და მათთვის ლეგიტიმურობის არგამოცხადების შემთხვევაში უნდა ჩატარებულიყო სხვა პირთა არჩევა. თუ საბჭოს მოქმედი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი არის ის, რომ იგი ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ არის არჩეული, უნდა არსებობდეს მისი უპირატესი ლეგიტიმაციის შესაძლებლობა და უარყოფის შემთხვევაში ჩატარდეს ამ პოსტზე შესაბამისი არჩევნები.

ასევე აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოსამართლეთათვის დისციპლინური სამართალწარმოების დაკისრების პროცედურას იწყებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელსაც აქვს უფლება მოახდინოს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემა ანუ შესაბამისი „ბრალის“ წაყენება. შემდგომ საკითხი იხილება დისციპლინური კოლეგიის მიერ, რომელიც ამ შემთხვევაში მოქმედებს სასამართლო ფუნქციის ფარგლებში. იგი წარმოადგენს „სპეციალურ, ფუნქციურ სასამართლოს მოსამართლეთათვის“, რომელიც იხილავს და წყვეტს ამ უკანასკნელთა სამოქალაქო სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებს (მაგალითად, შრომითი ურთიერთობისგან გათავისუფლება). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, როდესაც იგი აფასებს სამოქალაქო სფეროდან მომდინარე საქმის სამართლიანი სასამართლოს უფლების სტანდარტს, იგი სასამართლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ტიპის მსგავს ორგანოებსაც მიიჩნევს. საქმეში Oleksandr Volkov v. Ukraine ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იუსტიციის საბჭოს უფლებამოსილებას გადაეწყვიტა კონკრეტულ საქმეთა ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები და ამ მიმართებით სხვა ორგანოებთან ერთობლიობაში მიანიჭა მას სასამართლოს სტატუსი.<sup>85</sup>

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას ქართული საკანონმდებლო მოდელი წარმოადგენს ინკვიზიციურ პროცესს იმ გაგებით, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო აწარმოებს პროცესის პირველად სტადიას სამართალწარმოების სადისციპლინო კოლეგიისთვის გადაცემამდე და აქედან გამომდინარე იგი ემსგავსება რომანულ-კონტინენტურ სამართალში გავრცელებულ საბრალდებო სისტემას. ფუნქციურად იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სადისციპლინო კოლეგია არიან სასამართლო ფუნქციის მატარებლები და პროცესის მწარმოებელი ორგანოები, რაც მათ როლს ზრდის და ამ სეგმენტში მათ მიმართ მოქმედებს იგივე სტანდარტი, რაც ზოგადად მოსამართლეთა კორპუსის მთლიანი დათხოვნის შემთხვევაში. აღნიშნული მიდგომა არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით.<sup>86</sup>

<sup>85</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის განჩინება საქმეზე: Oleksandr Volkov v. Ukraine, პარ. 89–90.

<sup>86</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ 2.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის დათხოვნასთან მიმართებით აფასებს უარყოფითად. მისასალმებელია კანონის რამდენიმე დებულება, რომელიც მართლაც მიმართულია სასამართლო ხელისუფლების გაჯანსაღებისკენ, მაგრამ ჩვენ მიერ წარმოჩენილი პრობლემების სიმწვავე იმდენად დიდია, რომ შეიძლება მისით გამოწვეული შედეგები უფრო სავალალო იყოს სამომავლოდ, ვიდრე სიკეთის მომტანი.

საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა იუსტიციის საბჭოს 6 ადგილიდან მხოლოდ 4 წევრის არჩევა მოახერხა, იმის გათვალისწინებით, რომ ორი წევრის არჩევას მინიმუმ ხმათა 2/3 სჭირდება, ხოლო კენჭისყრაში საპარლამენტო უმცირესობამ მონაწილეობა არ მიიღო. საქართველოს მოსამართლეთა მეათე კონფერენციაზე მოსამართლეებმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა ვაკანტური ადგილი შეავსეს და შვიდი წევრი აირჩიეს.

## 12. 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნები

ლიბერალური დემოკრატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას საარჩევნო პროცესის გამჭვირვალედ და თავისუფალ გარემოში ჩატარება წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში საქართველოს 3 ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრთა შუალედური არჩევნები ჩატარდა. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ არ ახორციელებდა საარჩევნო პროცესზე უშუალო მონიტორინგს, თუმცა, საკითხთა აქტუალურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის საზოგადოებისადმი წარმოდგენა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით 2013 წლის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე სამტრედიისა და ბაღდათის საარჩევნო ოლქებში სხვადასხვა დარღვევები დაფიქსირდა. მათ შორისაა ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენების შემთხვევების შესახებ ინფორმაცია. ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების ნაწილი მიუთითებდა მათზე განხორციელებული ზეწოლისა და მუქარის შესახებ.<sup>87</sup>

### წინასაარჩევნო პერიოდი და სამართალდამცავი ორგანოები

წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების საგამომიებო ორგანოებში დაბარების არაერთი ფაქტები, რაც მათ მიერ აღქმული იქნა, როგორც ფსიქოლოგიური ზეწოლა და პარტიულ საქმიანობაში ხელშეშლა.<sup>88</sup>

ცესკო-ში არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოებისგან" შესული საჩივრის მიხედვით ბაღდათის ოლქის №10 საარჩევნო უბანთან

<sup>87</sup><http://transparency.ge/post/general-announcement/27-aprilis-shualeduri-saparlamento-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shep>

<sup>88</sup><http://transparency.ge/post/general-announcement/27-aprilis-shualeduri-saparlamento-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shep>

იდგა ავტომობილი სახელმწიფო ნომრით FXF-382, რომელიც ადგილობრივი პოლიციის უფროსის - გელა მშვილდაძის სამსახურებრივი ავტომობილია. ამ ავტომობილში სათითაოდ იმახებდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს გასაუბრების მიზნით და ადგილი ჰქონდა მათზე პირდაპირი ზეგავლენის მოხდენის მცდელობას.<sup>89</sup> აღსანიშნავია, რომ ცესკო-ში წარდგენილ საჩივარს თან ახლავს ფოტოსურათები, რომელზეც აღბეჭდილია საარჩევნო უბნის წინ გაჩერებული ავტომობილი და პოლიციელები.

ამ საკითხთან დაკავშირებით ცესკო-ს თავმჯდომარემ შსს მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს წერილობითაც მიმართა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტთან დაკავშირებით არსებული ეჭვები, რომ ადგილი ჰქონდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე პირდაპირი ზეგავლენის მოხდენას, საფუძვლიანია და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დამატებით შესწავლას საჭიროებს.

### მდივნის არჩევა

2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია დაამტკიცა. აღნიშნული ინსტრუქციით, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის წესი განიმარტა. განმარტების თანახმად კომისიის მდივანი აირჩევა პარტიების მიერ დანიშნულ წევრთაგან (გარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული წევრისა); კომისიის მდივნის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს პარტიების მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 2 წევრს (გარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული წევრისა); დასახელებული კანდიდატურა აირჩევა სახელობითი კენჭისყრით, პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ (გარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული წევრისა), სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.<sup>90</sup> აღნიშნულმა განმარტებამ საზოგადოების ნაწილში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი აირჩევა პარტიების მიერ დანიშნულ წევრთაგან, გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიისა. ცესკო-მ 2013 წლის 26 თებერვლის დადგენილებით წინა საპარლამენტო არჩევნებზე საუკეთესო შედეგის მქონე პარტიად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიიჩნია. შესაბამისად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სწორედ ხსენებული საკანონმდებლო რეგულაციისა და კანონქვემდებარე აქტით გაკეთებული განმარტების შედეგად შეეზღუდა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ცესკო-ს მიერ ადგილი არ ჰქონია საკანონმდებლო რეგულაციების დარღვევას, თუმცა აშკარად გამოიკვეთა, რომ 2009 წელს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებული ცვლილების

<sup>89</sup> <http://pirweli.com.ge/index.php?menuid=8&id=31943>

<sup>90</sup> <http://netgazeti.ge/GE/105/News/18524/>

ნამდვილი აზრი, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ არჩევნებში პირველ ადგილზე გასულ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონოდა მდივნის დანიშვნის უფლებამოსილება, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, სწორად ვერ აისახა ნორმაში. შესაბამისად აუცილებელია საქართველოს საკანონმდებლო ორგანო დროულად მიუბრუნდეს აღნიშნულ საკითხს და განახორციელოს ნორმის სრულყოფა.

### **წინასაარჩევნო აგიტაცია და უფასო პოლიტიკური რეკლამა**

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდისათვის უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების უზრუნველყოფის მოთხოვნით მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” ზეპირსიტყვიერად მიმართა შპს “სტუდია მანესტროს”, შპს “ტელეიმედს” და შპს “მეცხრე არხს”. ხსენებულმა მაუწყებლებმა ნაციონალურ მოძრაობას უფასო პოლიტიკური რეკლამის საკუთარ სამაუწყებლო ბადეებში განთავსებაზე უარი განუცხადეს და საკუთარი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთეს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-14 პუნქტი შუალედური არჩევნების დროს უფასო პოლიტიკური რეკლამის გამოყოფის ვალდებულებას მხოლოდ ადგილობრივი მაუწყებლებისათვის ითვალისწინებს.

მხარეებს შორის წარმოქმნილი გაურკვევლობის გადასაწყვეტად საკვანძო საკითხად იქცა „ადგილობრივი მაუწყებლის ცნება“. ნაციონალური მოძრაობა აპელირებდა, რომ ვინაიდან აღნიშნული მაუწყებლები ვერ აკმაყოფილებენ საერთო მაუწყებლისადმი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ისინი მიჩნეული უნდა იქნენ ადგილობრივ მაუწყებლებად. შესაბამისად მათზე უნდა გავრცელებულიყო საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ადგილობრივ მაუწყებლებს ავალდებულებდნენ მათთვის საკუთარი ეთერის დათმობას.

შექმნილმა მდგომარეობამ კიდევ ერთხელ ცხადყო ზემოხსენებული ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ბუნდოვანება. ერთი მხრივ, ნათელია ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოთქმული არგუმენტების საფუძვლიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, იქმნება შთაბეჭდილება კანონმდებლის მიერ ნორმაში განსხვავებული შინაარსის მოაზრებისა. ცხადია, რომ აღნიშნული შემთხვევა უნდა გახდეს საქართველოს პარლამენტისთვის მნიშვნელოვანი კატალიზატორი, რათა სრულყოფს შესაბამისი ურთიერთობების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები და გამორიცხოს მათი ორაზროვნება და ბუნდოვანება.

საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით დამატებით აღსანიშნავია, რომ გავრცელებული ინფორმაციით, საარჩევნო პერიოდში სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინა - ერთ შემთხვევაში, წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის წესების დარღვევის გამო ხონის პოლიციის უფროსის მიმართ, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სააგიტაციო მასალის დამზადების წესების დარღვევის გამო ადგილობრივი გაზეთის მიმართ.

### 13. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები

14 ივნისს პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია და მეორე მოსმენით მიიღო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში რიგი ცვლილებები. ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყურადღება შევაჩეროთ ცვლილებებზე, რომლებიც შეეხო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე და 84-ე მუხლებს. შეტანილი ცვლილებების მიხედვით დაცვის მხარის უფლება - შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საგამომიებო მოქმედებების ჩასატარებლად - გადავადებულია 2014 წლის 1 სექტემბრამდე. კერძოდ, აღნიშნულ თარიღამდე მოქმედი კანონმდებლობით დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების თაობაზე, მაშინ როცა სასამართლოს წინაშე გარკვეული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისა თუ რაიმე საკითხის დადგენის მიზნით შუამდგომლობის დაყენება და მტკიცებულებების თანაბრად შეფასება სწორედ ერთ-ერთი კანონიერი საშუალებაა დაცვის მხარისათვის თავისი პოზიციის დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის ოქტომბერში მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც სისტემურად განსხვავდება მანამდე მოქმედი 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან. თუ 1998 წლის საპროცესო კოდექსი ინკვიზიციურობის პრინციპზე იყო აგებული, ახალი კოდექსი მიმართულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დანერგვისაკენ. ამ თვალსაზრისით ასამოქმედებელი ნორმის 2014 წლის 1 სექტემბრამდე გადავადება უარყოფითად აისახება ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე საქართველოში და კვლავ საფრთხის ქვეშ დატოვებს ბრალდებისა და დაცვის მხარის საპროცესო თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალურ განხორციელებას.

კანონპროექტის მეორე ნეგატიური შესწორება მდგომარეობს იმაში, რომ 2014 წლის 1 სექტემბრიდან უქმდება დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლება<sup>91</sup>, რომელიც მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. კერძოდ კი, აღნიშნული ნორმით დაცვის მხარე უფლებამოსილია სასამართლოში საქმის არსებით განხილვაზე წარადგინოს ერთი ისეთი მტკიცებულება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის უზრუნველსაყოფად, რაც არ იწვევს ამ მტკიცებულების დაუშვებლობას. საგამონაკლისო უფლება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის მახლანსებელი ერთ-ერთი საშუალება, რომლის გაუქმებაც მნიშვნელოვნად ზღუდავს დაცვის მხარის ინტერესებს.

მიგვაჩნია, რომ 111-ე და 84-ე მუხლებში შესატანი ცვლილებები დაცვის მხარეს ბრალდების მხარესთან შედარებით არათანაბარ პირობებში აყენებს, რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სამართლიანი სასამართლოს პრინციპს. სამართლიანი სასამართლოს უფლება იცავს კანონის უზენაესობას და სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცული უფლებების შეზღუდვა მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებშია შესაძლებელი. თავის მხრივ, სამართლიანი სამართალწარმოება უზრუნველყოფს ყველა სხვა უფლების დაცვას ეროვნულ დონეზე. მხარეთა თანასწორობა სამართლიანი სასამართლოს

<sup>91</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 84-ე მუხლი



ფუნდამენტური ასპექტია, რომელიც გულისხმობს შეჯიბრებითობაზე დაფუძნებულ სამართალწარმოებას.

#### 14. სასამართლო პროცესების ფოტოვიდეოგადაღება

საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 18 იანვარს მიღებული კანონით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 182<sup>1</sup> მუხლი, რომლითაც განისაზღვრა სასამართლო პროცესების მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაშუქების წესი. აღნიშნული რეგულირება 2013 წლის 6 მარტს აისახა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13<sup>1</sup> მუხლში.

ზემოაღნიშნულმა ახალმა რეგულაციამ შეცვალა ადრე მოქმედი წესი, რომელიც კრძალავდა სასამართლო პროცესის ფოტოვიდეოგადაღებას და შემოიტანა რიგი სიახლეები, რომლებიც, უდავოდ, მისასაღმებელია პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კუთხით. აღსანიშნავია ისიც, რომ შემოთავაზებული კანონმდებლობა შეიცავს გარკვეულ ხარვეზებსაც, რაზეც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას. 2013 წლის 11 მარტს ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ეხებოდა სასამართლო პროცესების ვიდეო- და აუდიოგადაღებას.<sup>92</sup> სხდომების საჯაროობის დადებითი მხარეების პარალელურად, კომისიამ გამოთქვა რამდენიმე მოსაზრება და შენიშვნა ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით, რომლებსაც „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივაც“ იზიარებს. კერძოდ, კომისიამ მიუთითა გარკვეულ სირთულეებზე, რომლებიც შეიძლება ამ პროცესის თანმდევი იყოს: სასამართლო პროცესის მონაწილეთა ქცევა შეიძლება იყოს განსხვავებული საჯარო გაშუქებისას, რადგან პირთა ქმედებები უფრო პოპულისტური შეიძლება გახდეს; პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა რთულდება ვიდეოგადაღებისას; იმავდროულად ვიდეოგადაღებების მეშვეობით მოწმეებმა შეიძლება შეიტყონ სხვა მოწმეთა ჩვენებების შესახებ, რაც შეიძლება სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის გახდეს პრობლემური.<sup>93</sup>

ვენეციის კომისიამ ასევე წარმოადგინა შენიშვნები სასამართლოს მიერ გადაღებული მასალის გავრცელებასთან დაკავშირებით. კომისიამ აღნიშნა, რომ ის რეგულირება, რომელიც ყველა პირს აძლევს გადაღებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, შეიძლება არ შეესაბამებოდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიას.<sup>94</sup> კომისია მიიჩნევს, რომ ამ უფლებამოსილებით სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ უნდა არსებობდეს, როდესაც კონკრეტულ პირს აქვს შესაბამისი კანონიერი ინტერესი. წინააღმდეგ შემთხვევაში პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა მოხდება ყოველგვარი გამართლების და ლეგიტიმური ინტერესის იდენტიფიცირების გარეშე.<sup>95</sup>

<sup>92</sup> დასკვნა #701/2012, CDL-AD(2013)007;

<sup>93</sup> იქვე. პარ. 11.

<sup>94</sup> იქვე. პარ. 29.

<sup>95</sup> იქვე. პარ. 34.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს პარლამენტმა განახორციელოს კანონმდებლობის სრულყოფა იმგვარად, რომ, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილ იქნეს პირადი ცხოვრების დაცვისა და მართლმსაჯულების ჯეროვანი და ეფექტური განხორციელების შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, სათანადოდ გაშუქდეს სასამართლო სხდომები პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.

## **15. "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

2013 წლის 19 აპრილს ამოქმედდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 22-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის ახალი რედაქცია. შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეაჩეროს კანონის მოქმედება - 30, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი 45-დღიანი ვადით, თუ მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის რაიმე სახის ზიანის გამოწვევა.

ცვლილების შეტანამდე არსებული რეგულირებით საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იყო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეეჩერებინა სადავო აქტის მოქმედება, თუ მიიჩნევდა, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეეძლო ერთ-ერთი მხარისათვის რაიმე სახის ზიანის მიყენება.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ მიიჩნევს, რომ ამოქმედებული რედაქცია თავისი შინაარსით შეიცავს ხარვეზებს და მოითხოვს დახვეწას რამდენიმე მიზეზით. სასამართლოს არცთუ ისე მდიდარი პრაქტიკისა და რესურსების პირობებში უწევს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიღება, რაც მას ამა თუ იმ მუხლის პირველადი განმარტების წინაშე აყენებს. აღნიშნული გადაწყვეტილებების გონივრული და მაღალი ხარისხის შინაარსი კი საზოგადოების მხრიდან მაღალ ინტერესს წარმოადგენს. ცვლილებების მიღებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საკონსტიტუციო სამართალწარმოების სპეციფიკური ხასიათი, რომელიც თავისი შინაარსით ხანგრძლივ და მოცულობით პროცესს წარმოადგენს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც სადავო ნორმა მოსარჩელის გარდა სხვა პირთა უფლებების შესაძლო შელახვასაც ეხება, სასამართლო სადავო ნორმას არ აჩერებს.<sup>96</sup> აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო ნორმის მოქმედება მხოლოდ ორჯერ შეაჩერა. არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ნორმას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აჩერებს, როდესაც სადავო ნორმის მოქმედებით მოსარჩელის კონსტიტუციურ უფლების დარღვევა გარდაუვალია.

ნორმის ბლანკეტური ხასიათიდან გამომდინარე, შემოთავაზებული ცვლილება ეხება განურჩევლად ყველა შემთხვევას. კერძოდ, სასამართლომ 30 დღეში უნდა გამოიტანოს

<sup>96</sup> საქართველოს მოქალაქე სოფიო ებრალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

გადაწყვეტილება მიუხედავად იმისა, რეალურად აყენებს თუ არა ზიანს ნორმის შეჩერება მესამე მხარის ინტერესებს. საქმის დაჩქარებული წესით განხილვის პროცედურა კი, თავის მხრივ, სასამართლო რესურსების გაუმართლებელ ხარჯვას იწვევს. რიგ შემთხვევებში ნორმის შეჩერება შესაძლებელია არ ეხებოდეს მესამე პირების ინტერესების დარღვევას. ასეთ შემთხვევებში საერთო ვადისაგან განსხვავებული შემცირებული ვადის დადგენა მიზანშეუწონელია და საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ ემსახურება მოსარჩელის უფლებების დაცვას, მაშინ როდესაც მისი დარღვევის რისკი რეალურია.

მიგვაჩნია, რომ საქმის დაჩქარებული წესით განხილვის დისკრეცია უნდა გააჩნდეს თავად სასამართლოს, თუ დაინახავს, რომ ნორმის შეჩერება იწვევს მესამე პირებისათვის ზიანის მიყენებას. დაწესებულმა რეგულაციამ შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს, ერთი მხრივ, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების ეფექტურად დაცვის საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტი. უარყოფითად ვაფასებთ იმ ფაქტს, რომ ცვლილებების ინიცირებისას არ მომხდარა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრების გათვალისწინება.

## 16. საკუთრების უფლება

საკუთრების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, რომლის თანახმადაც: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შემენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“ ამასთან ერთად კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებად მიიჩნევს აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებათა შეზღუდვას კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისთვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება, დემოკრატიული საზოგადოების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედია.“<sup>97</sup> კონსტიტუციის 21-ე მუხლთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ეს ნორმა გამოხატავს საკუთრების კონსტიტუციური უფლების სუბიექტებთან დაკავშირებით

<sup>97</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილება საქმეზე ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება

არსებულ თანხმობას და აწესებს, რომ საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების უფლება საყოველთაო ხასიათს ატარებს და ამ ელემენტის გაუქმება დაუშვებელია<sup>98</sup>. საკუთრების უფლების დაცვა წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა. საანგარიშო პერიოდში ამ კუთხით ორი მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა.

### **გამომცემელთა საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტი**

2013 წლის 8 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გააკეთა განცხადება სკოლის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემის შესახებ.<sup>99</sup> „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესსა და საფასურს. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება ადგენს გრიფის მინიჭების წესს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეძლევა შესაძლებლობა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, საავტორო უფლების მფლობელის მიერ ჩვეულებრივი ლიცენზიის ან განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით გადაცემული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს გამოყენების უფლება გადასცეს ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.<sup>100</sup> ამ დებულებაზე დაყრდნობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე (ასეთად მიიჩნია მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი და სახელმწიფოს ვალდებულება უსასყიდლოდ უზრუნველყოს ზოგადი განათლება) მიიღო გადაწყვეტილება და თავად განახორციელა სახელმძღვანელოების ბეჭდვა.

სამინისტრომ აღნიშნული ქმედებით გამომცემლებს ფაქტობრივად შეუზღუდა საკუთრების უფლება და არაადეკვატური თანხის სანაცვლოდ მიითვისა მათი ლიცენზია.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ლიცენზია ზოგადად წარმოადგენს საკუთრების უფლებით დაცულ სიკეთეს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ლიცენზია წარმოადგენს საკუთრების უფლების საგანს, როდესაც პირს გააჩნია ამგვარი ლიცენზია და აქვს შემოსავლის მიღების გრძელვადიანი მოლოდინი.<sup>101</sup> საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს საკუთრების უფლების დაცულ სფეროს, მეორე ეხება მის შეზღუდვას, მესამე კი ჩამორთმევას. ამ ორი უკანასკნელი შემთხვევის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 და მე-3

<sup>98</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.51;

<sup>99</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.mes.gov.ge/content.php?id=4543&lang=geo> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 10 მაისს].

<sup>100</sup> დანართი #1, მეათე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>101</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის დასაშვებობის გადაწყვეტილება საქმეზე: Pudas v. Sweden, D&R 26 (1985), გვ 241; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე: Tre Traktorer Aktiebolag v. Sweden, პარ 53.

პუნქტები ადგენენ ერთიან სტანდარტს - „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“. ორივეს - საკუთრების უფლების შეზღუდვასა და ჩამორთმევას - ახასიათებთ ერთი ნიშანი. ეს არის ფორმალური მოთხოვნა - კანონის არსებობა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შეზღუდვა ან ჩამორთმევა.<sup>102</sup> საკონსტიტუციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს აღნიშნული მოთხოვნის „ევენტუალურ დარღვევას“, როდესაც შეზღუდვა განსაზღვრულია სხვა რეგულირებით, მაგრამ დუბლირებულია კანონქვემდებარე აქტში.<sup>103</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ასევე დასაშვებად მიიჩნევს, რომ კონკრეტული კანონქვემდებარე აქტის გამოცემის უფლებამოსილება განსაზღვრული იყოს კანონით, რომელიც ასევე მოახდენს უფლებამშეზღუდველი რეგულირების მიღების კომპეტენციის დელეგირებას (ე.წ. ბლანკეტური ნორმა).<sup>104</sup> მაგრამ აღნიშნული შემთხვევები გამონაკლისია და კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოხდეს კანონის საფუძველზე საკუთრების უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა.

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 25 თებერვლის ბრძანება გამოცემულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომელიც ადგენს, რომ სამინისტროს აქვს უფლებამოსილება დაამტკიცოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესი და საფასური. აღნიშნული დებულება არაფერს ამბობს ლიცენზიის ჩამორთმევაზე ან მის გადაცემაზე. ტერმინი „გრიფირების მინიჭების წესი“ არ გულისხმობს ლიცენზირების საკითხს. შესაბამისად, სახეზე გვაქვს რეგულირება, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხდება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების საფუძველზე, საკუთრების უფლების შეზღუდვა შესაბამისი საკანონმდებლო წინაპირობის გარეშე. აქედან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 25 თებერვლის N30/ნ ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული მეორე დანართის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და მის საფუძველზე განხორციელებული მოქმედებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საქართველოში არსებული 7 გამომცემლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას იმ დებულების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით მიმართავს, რომლის საფუძველზეც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მათ მფლობელობაში არსებული საავტორო უფლებები მიითვისა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გამომცემლებს შეეზღუდათ საკუთრების უფლება, რადგან რეალურად უსასყიდლოდ მიითვისა მათი საავტორო უფლებები. მსგავსი უფლებები წარმოადგენს საკუთრების უფლებით დაცულ სიკეთეს. ევროპულმა სასამართლომ და კომისიამ რამდენიმე საქმეში განსაზღვრეს, რომ ლიცენზია წარმოადგენს საკუთრების უფლების საგანს, თუკი პირს გააჩნდა იგი და ჰქონდა შემოსავლის მიღების გრძელვადიანი მოლოდინი. კონკრეტულ შემთხვევაში, სამინისტრომ საკუთარი ბრძანებით შეზღუდა გამომცემელთა საკუთრების უფლება, რაც წინააღმდეგობაში

<sup>102</sup> იქვე, პარ 11.

<sup>103</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 23 თებერვლის #2/70-10 გადაწყვეტილება საქმეზე: „ვანო სისაური, თარიმან მადრაძე და ზურაბ მჭედლიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ 3.

<sup>104</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე: „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II, პარ 1.

მოდის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 23-ე მუხლების მოთხოვნებთან, რომელთა მიხედვითაც საკუთრების უფლების შეზღუდვა შესაძლებელია კანონის მიერ და არა კანონქვემდებარე აქტით (მინისტრის ბრძანება წარმოადგენს კანონქვემდებარე აქტს).

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.“ სამინისტრომ გადაწყვიტა ესარგებლა აღნიშნული უფლებით, ფაქტობრივად საავტორო უფლების სხვა მფლობელთა მიერ საკუთარი უფლებით სარგებლობას საფუძველი დაუკარგა, რადგან ხსენებული ნაწარმოებები ზოგადსაგანმანათლებლო პროცესისთვის იყო განკუთვნილი და მათი სხვა სახით გამოყენება შეუძლებელია.

### **საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“**

2013 წლის 28 ივნისს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონი საქართველოს კანონში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის ინიციატორებიც იყვნენ პარლამენტარები ზურაბ ტყემალაძე და გიგლა აგულაშვილი.<sup>105</sup> წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, 2017 წლის 1 იანვრამდე ჩერდება კანონის იმ ნაწილის მოქმედება, რომელიც უცხოელებისა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მინიჭებას შესაძლებლობას ითვალისწინებს. დაწესებული მორატორიუმი არ გავრცელდება უცხოელების და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირების საკუთრებაში უკვე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა დანიის მოქალაქის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები, რომელიც ზღუდავდა უცხოელთა და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიულ პირთა საკუთრებაში მიწის ქონის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება იმ არგუმენტაციას, რომ ადამიანის უფლებების ერთ-ერთ მახასიათებელს მათი უნივერსალური ბუნება წარმოადგენს და იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული მოქალაქეობაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნავს რომ: „ინდივიდის განხილვა საკუთრების უფლების სუბიექტად უკავშირდება იმ უბრალო ფაქტს, რომ იგი ადამიანია და არ არის დამოკიდებული მის მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე“. სასამართლოს განცხადებით საკუთრების შეძენის კონსტიტუციური უფლება თავის მხრივ ადგენს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, რომ ხელი არ შეუშალოს ადამიანს, შექმნას თავისი საკუთრება და ამის საფუძველზე უზრუნველყოს საკუთარი კეთილდღეობა.

<sup>105</sup> იხ. [http://parliament.ge/files/Draft\\_Bills/29.05.13/miwa-3.90.pdf](http://parliament.ge/files/Draft_Bills/29.05.13/miwa-3.90.pdf)

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი“. წარმოდგენილი კანონპროექტით დაწესებულ შეზღუდვა და არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსი იდენტურია და განსხვავება მხოლოდ მოქმედების პერიოდს უკავშირდება.

ასევე ბუნდოვანია თავად კანონპროექტში აღწერილი მიზნებისა და საკუთრების უფლების შეზღუდვის ერთმანეთთან მიმართება. კანონპროექტში აღნიშნული მიზნების შესაბამისად, კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში მთავრობა უზრუნველყოფს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, სასოფლო სამეურნეო მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რეგულირების განსაზღვრას... სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ დროითი შეზღუდვა კიდევ რომ მივიჩნიოთ კონსტიტუციურად, კანონპროექტი აწესებს შეზღუდვის არაგონივრულ ვადას. მაშინ, როდესაც 6 თვის განმავლობაში უნდა მოხდეს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, მისი საჯარო-სამართლებრივი მოწესრიგება და კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება, გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება საკუთრების უფლებაში ჩარევის გახანგრძლივება 2017 წლამდე. ამკარაა, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ჩარევის ხარისხი სცილდება ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად აუცილებელი საშუალების ფარგლებს, რაც, თავის მხრივ, თანაზომიერების პრინციპის დარღვევას წარმოადგენს.

შესაბამისად მიგვაჩნია, რომ პარლამენტის მიერ კანონში განხორციელებული ცვლილებები არაკონსტიტუციურია და არღვევს არა მარტო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა უფლებებს (საკუთრების შექმნის ნაწილში), არამედ საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებასაც (განკარგვის ნაწილში).

#### **17. განათლების უფლება და აგრარული უნივერსიტეტი**

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით გარანტირებულია განათლების მიღების უფლება. ეს უფლება მიეკუთვნება სოციალურ უფლებათა რიგს და თავისი ბუნებით უდგენს სახელმწიფოს გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას. იმავდროულად სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს იმგვარი მოქმედებებისაგან, რომლებიც მოახდენენ ამ უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას.

2013 წლის 12 მარტს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აგრარული უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, რომელსაც საფუძვლად ედო უნივერსიტეტის მიერ განათლების შესახებ არსებული



სხვადასხვა კანონის მოთხოვნების დაუცველობა.<sup>106</sup> საბჭოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, უნივერსიტეტს მიეცა შესაძლებლობა გამოესწორებინა არსებული ნაკლოვანებები კონკრეტულ ვადაში და ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად მითითებულ იქნა მიმდინარე სემესტრის დასასრული.<sup>107</sup> გარკვეული საპასუხო მოქმედებების განხორციელების შემდეგ მოხდა აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის აღდგენა.<sup>108</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, განათლების უფლება მნიშვნელოვანი უფლებაა და მას აქვს მრავალმხრივი დატვირთვა. სახელმწიფოს საქმიანობა ამ სფეროში მიმართულია იქითკენ, რომ უზრუნველყოს განათლების სტანდარტის გაუმჯობესება, მაგრამ ამ გაუმჯობესების მიღწევისათვის განხორციელებულმა ცვლილებებმა საწინააღმდეგო შედეგებამდე არ უნდა მიგვიყვანოს.

მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იქნა დაცული თანაზომიერება კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასა და შემზღუდველ ღონისძიებას შორის. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>4</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის შეჩერების შესახებ. თუმცა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. აღნიშნული მოითხოვს გარკვეული ბალანსის დაცვას. ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ღონისძიება არ იყო მინიმალურად შემზღუდველი ზომა, რომელიც აუცილებელია უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევისთვის.

იმავედროულად აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებაში აკრედიტაციის საბჭომ მიუთითა, რომ აგრარულ უნივერსიტეტს არ მიეცა ხარვეზების გამოსასწორებლად დამატებითი 15-დღიანი ვადა, რადგან მისი განხორციელება შეუძლებლად იქნა მიჩნეული.<sup>109</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, იმავე საბჭომ 2013 წლის 26 მარტს ავტორიზაცია აღუდგინა აგრარულ უნივერსიტეტს, რადგან მიიჩნია, რომ მათ მიერ გამოსწორდა თავდაპირველ გადაწყვეტილებაში ასახული დარღვევები. ეს გადაწყვეტილება თავადვე ადასტურებს, რომ 14 დღეში შესაძლებელი გახდა ხარვეზების აღმოფხვრა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოს მიერ გამოყენებული ზომა არ იყო ადეკვატური და მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა ნაკლებ შემზღუდველი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაშიც.

<sup>106</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://eqe.ge/geo/news?info=394> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>107</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <http://eqe.ge/geo/news?info=395> > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>108</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < [http://eqe.ge/uploads/Authorisation/gadawyvetilebebi/2013/26\\_marti/4.pdf](http://eqe.ge/uploads/Authorisation/gadawyvetilebebi/2013/26_marti/4.pdf) > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].

<sup>109</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < [http://eqe.ge/uploads/Authorisation/gadawyvetilebebi/2013/12\\_03\\_2013gadawyvetileba.pdf](http://eqe.ge/uploads/Authorisation/gadawyvetilebebi/2013/12_03_2013gadawyvetileba.pdf) > [ბოლოს ნანახია 2013 წლის 12 მაისს].